№ 207

1877—1905

№ 207

ოთხშაბათი, 16 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 6.

პირველი აბონიმენტი.

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

დარბეულ და დაწიოკებულ ქართველთა და გურულთა სასარგებლოდ

მეზობლები

სცენები გურულების ცხოვრებიდან 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მღივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, კ. ჯაყელი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

შემდეგი წარმოდგენა—ვასო აბაშიძის ბენეფისია.

მზადდება წარმოსადგენად: „ახალი ძალა“, „ქოხში“, „ხალხი“, „სულით ობოლნი“.

რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახაზინო თეატრი

ორშაბათს, 1905 წ. 21 ნოემბერს

ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ,

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, ავასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.

ოპერის ლოტბარი იქმნება ნ. გ. ქართველიშვილი.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, ბ-ნნი: კოლოტოვი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.

ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციაში და ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, პირველად განახლების შემდეგ წარმოდგენილი იქმნება

გეიშა

ოპერეტკა 3 მოქმ., მუსიკა სიდნეი ჯონსისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი არციბაშევა, გაშინსკაია, გრიგორიევა, ნიკიტსკაია, დემიდოვა; ბ-ნნი კარელინი, კოლოტოვი, დრაკული, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო.

ბალეტის გამგე ბ-ნი ბეკეფი.

დირიჟორი ი. პ. ფალიაშვილი

რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, ქართულად წარმოდგენილი იქმნება ტრიფონ რამიშვილის ახალი ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მეზობლები“ ბილეთები იყიდება.

ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში სწავლა შეწყვეტილია 1906 წლის იანვრის შუადამდე. (3—2).

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

პ. ნ. ჩიქობავა,—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. აპეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანახოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძღლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. მ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათ.

ჰ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

ვ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე ა. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი'- და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 18.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფიჟერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

მილიტარიზმი რუსეთში

—

რუსეთის რევოლუცია ახალ ხანას იწყებს კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობის ისტორიამ არა ერთი რევოლუცია ნახა თავის თვალით. ყველა ამ რევოლუციათა დამახასიათებელი იყო შეიარაღებული აჯანყება. რუსეთის რევოლუციამ თავისი ძლევამოსილი მსვლელობა დაიწყო ახალის იარაღით,—ეს იყო საერთო გაფიცვა. საერთო გაფიცვის შინაარსი, რამდენიც დრო მიდის, იმდენად უფრო ფართოვდება. აქ ემატება ბოიკოტი მთავრობის წინააღმდეგ, გადასახადის მიცემაზე უარის თქმა, ჯარის კაცების არ მიცემა და სხვ. ამნაირად, თუ დღევანდელმა პირობებმა მეტად გააძნელეს შეიარაღებული აჯანყება, სამაგიეროდ ამავე პირობებმა რევოლუციონურ ძალას სხვა გზაც უჩვენეს, სხვა იარაღი მისცეს ხელში—და დემოკრატიის გამარჯვებას გზა დაულოცეს. ესაა თავისებურობა, რომელიც შედეგია საზოგადო კულტურულ განვითარებისა.

სხვა თავისებურობასაც ვამჩნევთ დღევანდელ დემოკრატიულ მოძრაობას.

ყოველ ქვეყანაში გაბატონებულ უმცირესობის წარმომადგენელ მთავრობის ძლიერება დამყარებული არის ძალაზე. ამ ძალას შეადგენენ უთვალავი სახელმწიფო მოხელენი და ჯარი. მთავრობამ დიდი ხნის ტრადიციით შექმნა მოხელეობაში ერთგვარობა, მორჩილება, მოხელენი შეაკავშირა ერთნაირ ცემენტით, რომელიც გზას უკრავდა ყოველ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ დრონი იცვლებიან. შეირყა ბიუროკრატიული რეჟიმი, შეირყა თვით ძველი წყობილების განმახორციელებელთა ერთობა, ერთსულობა. სახელმწიფო სამსახურში მყოფმა ხალხმა, განსაკუთრებით წვრილ მოხელეებმა შეიგნეს თავისი მდგომარეობა. საერთო არეულობამ, საერთო რყევამ მათ გაბედულობა მისცა—ხალხს მხარი დაუჭირონ. ისინი მიხვდნენ, რომ მათი ხსნა, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ იმავე გზით შეიძლება, რა გზითაც მიდის რევოლუციონური ხალხი.

ასეთი ტაქტიკა მათ უჩვენა თანამედროვე სახელმწიფო მექანიზმის ანალიზმა და, მართლაც, თუ თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ ვამჩნევთ, რომ ის გაყოფილია ორ დიდ კატეგორიად: ერთი მხრით მუშა, თავის ძალის გამყიდველი, მეორე მხრით—დამქირავებელი,—იმავე თვალით უნდა შევხედოთ სახელმწიფოსაც. სახელმწიფო დიდი კაპიტალისტია, რომელიც ჰქირავობს თავის საქმეებისათვის მუშებს. მასწავლებელი, ფოსტის მოხელე, რკინის გზის მოხელე და ბევრი სხვები თავის დამოკიდებულებაში მთავრობასთან მუშები არიან,—მთავრობა მათ ქირაობს. ცხადია, მათაც თავის ინტერესების დასაცველად იმავე გზას უნდა მიმართონ, რა გზასაც მუშა ადგია თავის ინტერესების დასაცველად. აქედან მომდინარეობს პროფესიონალურ კავშირის აუცილებლობა. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის მოხელეობა გაფაციცებით შეუდგა კავშირების დაარსებას. „კონსტიტუციონურმა“ მთავრობამ თავიდანვე მტრულის თვალით შეხედა ასეთ მოვლენას. ბრძოლა უკვე დაიწყო, მარა გვიანაა: მოხელეები უკან აღარ იხევენ და ამით ერთ ძირითად ბოძს აცლიან მთავრობას და აკლებენ მის ძველ „სიმკვიდრეს“.

ფრიად საგულისხმოა ჯარის მდგომარეობაც. მილიტარიზმი დღევანდელ სახელმწიფოს პირმშო შვილია, ის მისი რეალური ძალაა. მოაცალეთ მთავრობას უთვალავი შტიკები, რომელნიც საჭიროებისათანავე მიიმართებიან „შინაურ მტრების“ წინააღმდეგ, და მაშინ აუცილებელი იქნება დაუყოვნებლივ მისი დაცემა. ხოლო ჯარის მორჩილება დამყარებულია დისციპლინაზე. დისციპლინა კი ეუბნება მას: დაემორჩილე ყოველ განკარგულებას მოუფიქრებლად, სიტყვის შეუბრუნებლადაო. და აი, სწორედ დღეს ეს სისტემაც ირღვევა და იშლება. ყურადსაღები ფაქტები რუსეთის მხედრობის ცხოვრებიდან გვეუბნება, რომ მხედრობა ძველ მორჩილებას ღალატობს. უკიდურეს შევიწროებას მოჰყვა რეაქცია. მხედარი თავის მდგომარეობას თანდათან უკვირდება, ცხოვრება მას თვალს უხელს. არსებობის ყოველ ადამიანურ პირობებს მოკლებული გამოუხსნელების გზას დაადგა. ფიცის სიმტკიცის დაცვა ხალხის ინტერესებს დაუპირდაპირდა. აქ კი დიდი ფიქრი აღარაა საჭირო: საკმარისია მხედარი—ადამიანი თავის სინიდისს დაეკითხოს, რომ თავისი როლი გაითვალისწინოს. მაშინ ის ვერ დათანხმდება, მას სინიდისი და მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნება ნებას არ მისცემს სიცოცხლე მოუსპოს იმ ადამიანს, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვის. აქ დაუმატეთ მხედრობის მატერიალური შევიწროებაც. მრეწველობის მხრივ ნაკლებად განვითარებულ რუსეთს არ ძალუძს მხედარს შესაფერი, ადამიანური არსებობა გაუჩინოს მატერიალურის მხრით.

ამნაირად, დღეს ჩვენ ვამჩნევთ ფრიად საგულისხმო ისტორიულ მოვლენას. მხედრობა რყევაშია. და რაკი ეს პროცესი თვალსაჩინო ძლიერებით დაიწყო, მისი მოსპობა აღარავის შეუძლია. ჯარი ამიერიდან აღარ წარმოადგენს მთლიან ერთეულს, ბრძანების უტყვად მორჩილს. ჯარი დამოუკიდებლივ ერევა მოქალაქობრივ ცხოვრებაში და ხალხის მოძრაობის გავლენას განიცდის. ეს დიდ ისტორიულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. მილიტარიზმის შერყევა იგივე ექსპლოატაციის შერყევა იქმნება, რაიც თანამედროვე სახელმწიფოს შერყევას მოასწავებს. და მოსალოდნელია, რომ ამ მხრივაც რუსეთის რევოლუცია თავისებური იქმნება საკაცობრიო მსვლელობაში. მოსალოდნელია, რომ იგი არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკურ სახეს შესცვლის, არამედ შეუძლებლად გახდის ხალხზე ბურჟუაზიის ხანგრძლივად გაბატონებას.

ბ.

* * *

მაშ გავასწოროთ

(საჭირო დიაგნოზი)

ჩემ პირველ გამოსვლისათანავე „ივერიაში“ ბ-ნი ფ. მახარაძე აიკლირსა, წამეკაწრუნა, უტიფრო სალანძღავი სიტყვები მესროლა, მაგრამ მე მაინც ხმა არ შევქრახე, პასუხი არ გავეცი. მეთაკილებოდა მისი საქციელი, მეთაკილებოდა მასთან გამოპასუხება. ბ-ნი მახარაძე მაინც არ დამცხრალა, და აი, „მოგზაურის“ უკანასკნელ კვირის ნომერში (იხ. „პირდაპირობა და ორპირობა“) კვლავ გამოილაშქრა ჩემ წინააღმდეგ. დასახელებულ წერილს იდეური ელფერი ატყვია! მას შეუძლიან მდაბიო მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს. მაშ ეხლა უპასუხოდ ვეღარ დავტოვებ. საჭიროდ მიმაჩნია საქმე თავიდან დავიწყო.

პირველი წერილი, რომლითაც ბ-ნ მახარაძემ ჩემზე იერიში მოიტანა, გახლდათ „ისტორიული მატრაკვეცები“ (იხ. „მოგზაური“ № 34). ამ წერილში ავტორის მიზანია, მიწასთან გაასწოროს ყველა ისინი, ვისაც იგი „ისტორიულ მატრაკვეცებს“ უძახის. როგორ აღწევს ამას?

მოვუსმინოთ თვითონ წერილს: „ერთ დროს... იყვნენ ისეთი სოციოლოგ-ისტორიკოსები (ბ-ნ მახარაძეს უნდა ვასწავლო, რომ ესენი არც დღეს არიან სანთლით საძებარნი), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მთელი ისტორია, კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება, აიხსნება მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანების მოქმედებით, მათი სურვილით და მათი იდეალებით. ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ ისტორიაზე მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორია ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ქვეყანა იყო... და, აი, აქ თქვენ წინ წარმოგიდგებოდნენ ქსერქსები, კიროსები, კეისრები, კარლოსები, ნაპოლეონები, ირაკლიები და ტუტი ქვანტი... ესენი უბრალო მომაკვდავზე მაღლა იდგნენ, ამათ თითქმის პატარა ღმერთებად სთვლიდნენ. ერთი სიტყვით, ესენი ხალხის თვალში ნამდვილი კერპები იყვნენ... ასეთი წარმოდგენა დიდხანს იყო გავრცელებული საზოგადოებაში და შემდეგ იგი ლიტერატურაშიაც ბატონობდა. მაგრამ, როგორც ზევით შევნიშნეთ, ასეთი შეხედულება სამუდამოდ შეირყა. დღემდის პატარა ღმერთებად მიჩნეული პირების, ე. ი. კეისრების, კარლოსების, ნაპოლეონების და სხვების ცხოვრება ვერავითარ ნათელს ვერ მოფენს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ (?) პირიქით თვით კაცობრიობის ისტორიის შესწავლა კი ნათელს ფენს ამათ მოქმედებას. და, აი, (მოისმინეთ! მოისმინეთ!) აქ ჩვენ წინ გადაგვეშლება ისტორიულ მატრაკვეცათა მოქმედება. ისინი, ვინც მართლა ქმნიდა ისტორიას, ე. ი. ხალხი, უკან დგანან (?), ხმას არ იღებენ, და ისინი კი, ვინც მხოლოდ ხალხის სურვილს ასრულებდა, მას ასე თუ ისე აკმაყოფილებდა, პირველ წყებაზე არიან გამოჭიმულნი. მაგრამ ასეთი მატრაკვეცები დღესაც მრავალია“.

„საზოგადოების რა სფეროშიაც არ გაიხედავთ, ყოველგან შეხვდებით მატრაკვეცებს... (ამათ რიცხვში ავტორი ხაზ-გასმით ასახელებს იმათ, ვისაც უმაღლესი სწავლა-განათლება საზღვარგარეთ მიუღიათ). მართალია,—განაგრძობს იგი,—კეისრებს, კრომველებს და ნაპოლეონებს აქ თქვენ ვერ აღმოაჩენთ, რადგან ამათი დრო უკვე სამუდამოდ წავიდა; ახლანდელ მატრაკვეცებს ისეთი ფართო ასპარეზი როდი აქვთ სამოქმედოდ, როგორც წინა დროების მატრაკვეცებს; გარდა ამისა იმათი დიდ ბუნებოვანობაც აღარავის წამს (დარწმუნებული ვარ, იმათი დიდბუნებოვანობა თვითონ ბ-ნ მახარაძეს სწამს).

„მაგრამ მოვა დრო (ურო დიადი?), როცა მატრაკვეცებს სამუდამოდ ბოლო მოეღებათ. თუ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებამ შემუსრა და დაამსხვრია წინანდელი კერპები, მიწას დაანარცხა წარსულ ცხოვრების უდიერი მატრაკვეცები, იგივე ცხოვრების განვითარება განა ვერ მოსპობს ჩვენი დროის დაგლახაკებულ მატრაკვეცებს? ასეთი ბედი მათ არ აცდებათ. ეს მათ კარგად უნდა ახსოვდეთ!“ ოო, საშინელებავ!

მერე როგორ ისპობიან „მატრაკვეცები“ პირისაგან ქვეყნისა? იგივე ბ-ნი მახარაძე სამართლიანად განმარტავს,—იგი არც ისე სასტიკი ყოფილა, როგორც გვეგონა; მან თურმე ხუმრობით შეგვაშინა,—ბ-ნი მახარაძე განმარტავს, რომ ის აზრი, ვითომ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჰქონიდნენ ისტორიული გმირები, ეხლა მეცნიერებისაგან უარყოფილია.

„ისტორიულ ცხოვრების ღრმა შესწავლამ,—ამბობს ავტორი,—უარყო ასეთი შემცდარი შეხედულება ისტორიაზე, ყველა კერპები ძირს დაანარცხა (ფასონ დე პარლერ), ისტორია არ არის ერთი და ორი პირის ნამოქმედარი, თუნდაც ეს პირები დიდბუნებოვანიც იყვნენ. კაცობრიობის ისტორია ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს. კერძო პირები, რაც უნდა დიდბუნებოვანი იყვნენ ისინი, ვერაოდეს ვერ შესცვლიან ამ კანონების მოქმედებას. პირიქით, თვით ეს პირები ისტორიულ განვითარების მიერ არიან წარმოშობილნი, და იმათ თვით საზოგადოებრივი პირობები უმზადებენ ნიადაგს მოქმედებისათვის. და, აი, როცა ნიადაგი მომზადებულია, როცა საზოგადოებრივი პირობები იმდენად მომწიფებულია, რომ საჭირო ხდება ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამა თუ იმ კანონის გამოცემა, ამა თუ იმ ზომის მიღება, მაშინ საზოგადო ასპარეზზე ჩნდება ესა თუ ის პირი, როგორც საზოგადოების ანუ ხალხის სურვილის, მისი საჭიროების აღმასრულებელი, ანუ გამომხატველი. ასეთი პირი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს“.

აქედან აშკარაა „ისტორიული მატრაკვეცები“ არ გამოილევიან, არ მოისპობიან, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა. მაშ არც ბ-ნ მახარაძეს გამოელევა სალანძღავ-საგინებელი პირები!—იტყვის შემკრთალი მკითხველი. არა, ჩვენდა სანუგეშებლად, არც წარსულში და არც აწმყოში, ცას ქვეშ არ მოიპოვება და არ მოიპოვებოდა ისეთი ადამიანი (გარდა ბ-ნ მახარაძისა, რასაკვირველია), რომ ეგრედ წოდებულ, ისტორიულ გმირებს ლანძღავდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გმირები იყვნენ.

ჩვენ მოვიყვანეთ დასახელებულ წერილის მთელი შინაარსი, არ მოვიყვანეთ მხოლოდ ბ-ნ მახარაძის „პოეზია“—ლანძღვა-გინება „ისტორიულ მატრაკვეცები“-ს მიმართ; და ამ „პოეზიას“ არცა აქვს რაიმე კავშირი წერილის შინაარსთან. როგორც მკითხველმა დაინახა, ბ-ნი მახარაძე უარჰყოფს იდეალისტურ თეორიას და ისტორიულ გმირების მოქმედებას ხსნის—სამართლიანადაც—მატერიალისტურ თეორიის თვალთახედვის წერტილიდან. წერილის დასკვნა ასეთია: თანამედროვე მეცნიერებამ „ყველა კერპები ძირს დაანარცხა“, ე. ი. ამ მეცნიერებამ გვიჩვენა, თუ სად იმალება ისტორიულ გმირების, „მატრაკვეცების“ (მახარაძის ტერმინით) მთელი ძალა, მთელი გმირობა და დიდ ბუნებოვანობა: იგინი (ისტორიული გმირები) თავის არსებაში ატარებენ თავის დროის, ეპოქის სულთასწრაფვას; როგორც უფრო ნიჭიერნი უკეთ სარგებლობენ ისტორიულ გარემოებით, ცხოვრების ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებით. იგინი ციდან ჩამოსული, ზეარსებანი კი არ არიან, არამედ „ისტორიულ განვითარების მიერ არიან წარმოშობილნი“.

და მერე, აკი ავტორს მიზნადა ჰქონდა მიწასთან გაესწორებინა „მატრაკვეცები?“—იკითხავს გაოცებული მკითხველი. დიაღ, ასეთი მიზანი ჰქონდა დასახული, და ეს მან „მოგზაურის“ შემდეგ ნომერში (იხ. № 35 „საკუთარი თავის დანახვა“) ხელ-ახლა განმარტა: „ჩვენ ვცდილობდით („ისტორიულ მატრაკვეცებში“) რამდენიმეთ(?) დაგვეხასიათებინა ჩვენი დროის მატრაკვეცები, საზოგადოებისათვის გვეჩვენებინა მათი მოქმედების ყალბი საფუძველი, დაგვენახვებინა მათი მეტიჩრობა, ორგულობა, მლიქვნელობა (კიდევ?) გაიძვერობა, პირფერობა და სხვ...“ ნაცვლად ამისა, უებრო ჟურნალისტმა სრულიად წინააღმდეგ მიზანს მიაღწია. მან სიმაღლის ისეთ მწვერვალამდე აიყვანა „ჩვენი დროის მატრაკვეცები“, სადამდე ასვლასაც—ვფიქრობ—ვერც ერთ საზღვარ-გარეთელს ვერავითარი ლაღი ოცნება ვერ დაუხატავდა.

როგორ მოუვიდა ასეთი საარაკო მარცხი ბ-ნ მახარაძეს? ამას ქვემოდ დავინახავთ.

„მოგზაურის“ იმავე ნომერში (34), სადაც დაბეჭდილია საანეგდოტო წერილი „ისტორიული მატრაკვეცები“, „შინაურ მიმოხილვაში“ ბ-ნი მახარაძე პირდაპირ მე მასახელებს და ასეთი სიტყვებით მოაქვს ჩემზე იერიში: „დღეს იგი (ე. ი. ხალხი) დამოუკიდებლად გამოდის. მაგრამ ამ დროს მასთან მიდიან სხვადასხვა ჯურის მატყუარები, ვითომ და სხვადასხვა რჩევის მისაცემათ, მაგრამ ნამდვილად კი მის მოსაცდუნებლად“.

ადამიანი მოდის და გადაჭრით გეუბნებათ: თქვენ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათს, ამა და ამ ადგილას კაცი მოჰკალით; გეუბნებათ ამას, თუმცა კარგად იცის, რომ ასეთი ფიქრიც კი არასოდეს არ მოგსვლია, იცის, რომ დასახელებულ დროს თქვენ საკუთარ სამუშაო ოთახში იყავით, საკუთარ შრომაში გართული. რა უნდა უპასუხოთ ასეთ ადამიანს?.. ყოველ შემთხვევაში, მასთან პოლემიკას არ გამოეკიდებოდით.

„მოგეხსენებათ,—განაგრძობს დასახელებული ადამიანი—რომ სიღნაღში, ამ კამბეჩოვან ქვეყნის (შეითან ბაზრის თქმულება უნდა იყოს) დედა-ქალაქში, ავტონომიის (აქ მარხია ძაღლის თავი) საქმე აქამდის რაღაც ცუდად მიდიოდა. მაგრამ დაიწყო კრებები ერობის შემოღების შესახებ სათათბიროთ, ჩავიდა იქ ვლ. დარჩიაშვილი და საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა... ავტონომია მიღებულ იქმნა იმავე ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის მეცადინეობით... ბ-ნ დარჩიაშვილის მეთაურობით შემუშავებული დებულება ერობაზე შემდეგი სიტყვებით იწყება (ფორმალურ შეცდომას არ ვასწორებ): „ვიდრე **კავკასია** ავტონომიას მოიპოვებდეს, მის უმაღლეს საერობო დაწესებულებას შეადგენს სეიმი“... აქ ბ-ნი მახარაძე შედის თავის როლში და განაგრძობს: „რა თქმა უნდა, ქართველ ბურჟუაზიისათვის, ქართველ თავად-აზნაურობისათვის, ქართველი სამღვდელოებისათვის და ქართველ ბურჟუაზიულ ინტელიგენციისათვის დიდათ სასარგებლო და ხელ-საყრელია **საქართველოს ავტონომია**“. მკითხველმა დაინახა ჩვენი პროექტის ზემოდ მოყვანილ მუხლიდან, რომ მე საქართველოს ავტონომიაზე კრინტიც არ დამიძრავს. ვთხოულობდი კავკასიის ავტონომიას და არა საქართველოს ავტონომიას. გარდა ამისა, ჩვენი პროექტი დაწერილია სექტემბრის პირველ რიცხვებში; განსაკუთრებით მაშინ მოუხერხებლად, შეუსაბამოდ მიმაჩნდა კავკასიის ავტონომიის

დაუყოვნებლივი მოთხოვნა, და, აი, ამიტომ ჩვენ პროექტში შეტანილია მუხლი: „ვიდრე კავკასია ავტონომიას (და არა ავტონომიებს) მოიპოვებდეს". ეს არა ნიშნავს: კავკასიამ დღესვე უნდა მოიპოვოს ავტონომია. მაგრამ უებრო ქართველ ჟურნალისტს ქართულად დაწერილი არ გაეგება და განაგრძობს: „ამიტომ ვინც დღეს ჩვენში ავტონომიას თხოულობს, ის მუშა-ხალხის გარეშე დგას, ის მშრომელ ხალხის ინტერესებს ღალატობს და ქართველ ბურჟუაზიის, ქართველ სამღვდელოების და თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი ხდება. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთებს ეს გაუგებრობით მოდიოდეს, მაგრამ უმეტესობას კი კარგად ესმის თავისი როლი. ჩვენ მხოლოდ არ ვიცით, თუ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი რომელ კატეგორიას ეკუთვნის. ამას, რასაკვირველია, მისი პიროვნების დასახასიათებლად აქვს მნიშვნელობა, საქმისათვის კი სულ ერთია: განზრახ ემსახურება იგი ბურჟუაზიის საქმეს, თუ უნებლიეთ. დღეს ჩვენში ისეთი დროა, რომ იქითაც ყოფნა და აქედაც **კუდის ქიცინი** ყოვლად შეუძლებელია". ბ-ნი მახარაძე წერილის ბოლოში ამბობს. „ყველა ეს პროექტები საქართველოს ავტონომიის შესახებ ქვიშაზე აგებულ კოშკებს გვანან".

ბ-ნ მახარაძეს არ ეგებება, რომ საქართველოს ავტონომია (ქართველობის პოლიტიკურად გამოყოფა კავკასიის სხვა ერებისაგან) და კავკასიის ავტონომია (კავკასიის ერებისაგან ერთიან პოლიტიკურ სხეულის შედგენა) ეს ორი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია. ბ-ნ მახარაძეს არ გეგება, როგორ მოხდა, რომ მე ერთს უარვყოფ და მეორეს კი მხარს ვუჭერ. ბ-ნი მახარაძე აცხადებს, „როგორ მოხდა ეს,—ჩვენთვის საიდუმლოებაა"*).

როგორ დავიჯეროთ, რომ ჟურნალისტს, რომელიც ამდენი ხანია მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე, არ გაეგება სოციალ-პოლიტიკური „ანა-ბანა"! მაშ რა ღმერთი უწყრება ბ-ნ მახარაძეს?!

„მოგზაურის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „პირდაპირობა და ორპირობა", რომლის განხილვას შემდეგ წერილში შევუდგები, ბ-ნი მახარაძე მწამებს, ვითომ მე მეთქვას, რომ დღევანდელი პოლიტიკური ცვლილება რუსეთის იმპერიაში გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მადლიანმა ბუნებამ, მშვენიერმა მთა-ბარმა და ლაჟვარდოვანმა ცისა კამარამ. თუ არა გჯერათ, რომ ბ-ნ მახარაძეს ეს შესძლებოდეს, წაიკითხეთ მისი, დასახელებულ სტატიის სხოლიო, გვ. 630.

მკითხველო, როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი? ჩვენ არა გვგონია, რომ ბ-ნ მახარაძეს ეს მოსდიოდეს ბოროტებით ანუ სისულელით. მაშ რა ემართება ამ კაცს? ჰმ!.. ბ-ნ მახარაძის საქმე ძალიან ცუდად არის.

ამ რამდენიმე ხნის წინად, ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილმა ურჩია ბ-ნ მახარაძეს (ამისთვის საუბედურო „ისტორიულ მატრაკვეცობის" გამო), რომ საავადმყოფოში წასულიყო. მე მაშინ პირადად შევნიშნე ბ-ნ გოგიჩაიშვილს, რომ აგეთი რჩევა ნამეტანი სასტიკობა იყო იმის მხრივ. მაგრამ ეაი, რომ მეც მალე დავრწმუნდი,—ბ-ნ გოგიჩაიშვილის რჩევა სწორეთ მეგობრული იყო. დიახ, ბ-ნი მახარაძე სულით ავადმყოფია.

ვლ. დარჩიაშვილი.

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ერობისა და ქალაქების წარმომადგენლების კრება მოსკოვში

6 ნოემბერი.

დღეს მოსკოვში დაიწყო ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს პეტრუნკევიჩი. პირველი სიტყვა ითხოვა ბ. გოლოვინმა. მან მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ დღეს სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველი კრება მოხდა ერობის წარმომადგენლებისა.

1904 წლ. 6 ნოემბერს ერობის წარმომადგენლებმა ნათლად გამოსთქვეს, რომ საჭიროა სახელმწიფო წეს-წყობილების გარდაქმნა. თუმცა ერობის პროგრამას თითქმის ყველა ქალაქმა მხარი დაუჭირა, მაგრამ მთავრობა, 12 დეკემბრის მანიფესტის სახით, მხოლოდ დაგვპირდა სხვადასხვა რეფორმებს, და ერობის უმთავრესი მოთხოვნილება, საკონსტიტუციო წყობილების დაარსება, არ შეასრულა, მაგრამ 9 იანვარს შემდეგ, მუშათა მოძრაობისა და ჩვენის ჯარის დამარცხების შემდეგ, მთავრობა მიხვდა, რომ შეუძლებელია საზოგადოების მოთხოვნილების არ დაკმაყოფილება. მაგრამ მთავრობა მაინც ევაჭრებოდა საზოგადოებას, ჰპირდებოდა რეფორმებს, მაგრამ თითქმის არც ერთხელ არ შეასრულა თავის დაპირება, 18 თებერვალს მთავრობას სურდა გაეგო, რამდენად არის საზოგადოება რეფორმებისთვის მომზადებული, და ამიტომ ნება მისცა რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, სახელმწიფო რეფორმების შესახებ მინისტრების საბჭოში წარმოეთქვა თავისი აზრი. ერობებმა ამით ისარგებლეს და დასაბუთებული აზრი გაუგზავნეს მინისტრებს იმის შესახებ, რომ რუსეთში საჭიროა კონსტიტუცია. 6 აგვისტოს, მანიფესტის შემდეგ, ერობის წარმომადგენლებმა მტკიცედ გარდასწყვიტეს, რომ შევიდნენ სახელმწიფო საბჭოში ერთად-ერთის მიზნით—გარდაქმნან საბჭო პარლამენტად, რომელშიაც შევლენ ხალხის წარმომადგენლები, ამორჩეულნი საერთო, პირდაპირ, თანასწორ და დახურულ კენჭის ყრით.

ოქტომბერში რუსეთში დაიწყო დიადი გაფიცვა. მუშებმა იგივე მოითხოვეს, რაც ერობის წარმომადგენლებმა. მაშინ მთავრობამ გადასწყვიტა, ხალხს დაუთმოს, და ამას შედეგად მოჰყვა 17 ოქტომბრის მანიფესტი. აქაც მთავრობამ შეცდომა ჩაიდინა: არ მისცა ხალხს სრულად, რასაც იგი თხოულობდა. ამიტომ მშვიდობიანობის მაგიერ რუსეთში ანარქია დამყარდა. ძველი ადმინისტრაცია თვითნებობას არის შეჩვეული, ამიტომ იგი მტრულად დაუხვდა მანიფესტს და შეუძლებელ ჰყო მისი განხორციელება ცხოვრებაში. ბევრ ქალაქში, ადმინისტრაციის მონაწილეობით, საშინელი და სამარცხვინო ამბები მოხდა.

ასეთია ახლანდელი მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა. ჩვენ ახლა უფრო სიფრთხილე გვმართებს, რომ უფრო სწორე გზა ავირჩიოთ ჩვენის მიზნის მისაღწევად. ჩვენ შეგვიძლიან დამშვიდებულნი შევუდგეთ მუშაობას, რადგანაც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ხალხმა გაიმარჯვა. ამიტომ შევუდგეთ მუშაობას მშვიდად, რადგანაც ყველა ის, რასაც აქ შევიმუშავებთ, რუსეთის ხალხის ინტერესებს დაიცავს და გამოიწვევს თანაგრძნობას მთელის ჩვენის ქვეყნისას.

გოლოვინის შემდეგ ილაპარაკა როდიჩევმა. მხურვალე სიტყვებით დაახასიათა მან ტრუბეცკოის მოღვაწეობა. სხვათა შორის, აღნიშნა, რომ, როდესაც ტრუბეცკოი ხელმწიფის წინ თამამად წარსდგა და თავისი სახელოვანი სიტყვა წარმოსთქვა, იგი ამ დროს ითვლებოდა სახელმწიფო დამნაშავედ და ჟანდარმები მას ციხეში დამწყვდევას უპირობდნენ. შემდეგ როდიჩევმა დაახასიათა მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტში. თავისუფლება საშინელ მსხვერპლს თხოულობს და ერთი მსხვერპლთაგანი იყო ტრუბეცკოი. მოვიხსენიოთ ის მებრძოლნიც თავისუფლებისთვის, რომლის სახელიც ჩვენ არ ვიცით. (კრება ფეხზე წამოდგა). ამის შემდეგ კრება შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ ერობისა და ქალაქების წარმომადგენლები რა თვალით უნდა უყურებდნენ თანამედროვე მთავრობასა და ცხოვრებას.

ხარკოვის წარმომადგენელი, ბ-ნი კუჩეროვი, იმ აზრისაა, რომ ვიტტეს პროგრამა იმდენად ლიბერალურია, იმდენად უახლოვდება ერობის პროგრამას, რომ საჭიროა თანაგრძნობით მივეგებოთ ვიტტეს მოწოდებას, საჭიროა მას მხარი დავუჭიროთ. ამ შველას გვემუდარება ვიტტე და, თუ ჩვენ გვინდა, რომ მხარე დამშვიდდეს, უარი არ უნდა ვუთხრათ. საჭიროა მეფეს გავუგზავნოთ დეპუტაცია და თავისუფლების მოცემისთვის მადლობა გადავუხადოთ.

თავჯდომარე პეტრუნკევიჩი ამბობს, რომ კრებაზე ჯერ არც ერთი კითხვა არ გარჩეულა, ამიტომ იგი არც ერთ წინადადებას კენჭს არ უყრის.

თავადი დოლგორუკოვიც მხარს უჭერს თავჯდომარეს. მისის აზრით, არავითარ დეპუტაციაზე ფიქრიც არ იქნება, სანამ პეტერბურგელ დელეგატებს არ მოვუსმენთ, მათ, მართალია დაიგვიანეს, მაგრამ, უეჭველია, დღეს ჩამოვლენ. საჭიროა აგრეთვე პოლონეთის დეპუტატების შეხედულებაც გავიგოთ.

მოხუცებული გრაფი გეიდენი ამბობს, რომ უმთავრესი მიზანი ანარქიისა, რომელიც მთელ რუსეთს მოედო, ის არის, რომ მთავრობა გულახდილად არა მოქმედობს. მას აქამდის არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია. 17 ოქტომბერს, ეჭვს გარეშეა, კონსტიტუცია გამოცხადდა, მაგრამ ტიტული „თვითმპყრობელი" აქამდისაც დარჩა. თუ თვითმპყრობელობა ახლაც არსებობს, მაშინ ხომ ადვილად შესაძლებელია, ხვალვე გამოიცეს ახალი მანიფესტი, რომლის ძალითაც 17 ოქტომბრის აქტი გაუქმებული იქმნება! ამიტომ ხალხი ნდობის თვალით ვერ უყურებს მთავრობის მოღვაწეობას. ეს ასე იქნება იქამდე, სანამ მთავრობა ნათლად არ დაგვანახვებს, რომ იგი აღარ ფარისევლობსო.

კოსტრომის წარმომადგენელი კარატილინი იმ აზრისაა, რომ რეაქციის იმედები დაიღუპა. რეაქციონერებს შავი რაზმების იმედი ჰქონდათ. მათ ეგონათ, რომ შავი რაზმები თავგანწირულად იბრძვიან თვითმპყრობელობის დასაცველად, მაგრამ ყველაზე უღრმესი სიმპატია შავი რაზმებისა მიისწრაფოდა ღვინის დუქნებისკენ. ლოთი და გარყვნილი ბრბო განა შესძლებს წინ დაუდგეს მუშათა მძლავრ მოძრაობას?

ბ-ნ აბრამოვს ძალიან უკვირს, რომ კრების პირველ დღესვე რაღაც მადლობაზე და მთავრობის მხარის მიცემაზე ლაპარაკობენ. მე მეგონა, როდესაც მოსკოვში მოვდიოდი,—ამბობს აბრამოვი,—რომ კრება გაარჩევს იმ კითხვას, თუ როგორ მოხდა ეს, რომ კონსტიტუცია მოგვცეს და ამასთანავე შავი რაზმი და ხულიგანები დაგვახვიეს და ამოგვხოცეს. რატომ არა გვაქვს მონიჭებული აქამდის თავისუფლება კრებისა და კავშირისა, სიტყვისა და პრესსისა? განა ჩვენ შეგვიძლიან ნდობით ვუყუროთ ვიტტეს მოღვაწეობას? ხულიგანებისა და შავის რაზმის მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგიდან, ამაში ეჭვი შეუძლებელია. რასაკვირველია, ვიტტე მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ რატომ ენერგიულად არ შეუშალა ხელი?

სარატოვის წარმომადგენელი ნემიროვსკი, რომელიც სექტემბრის კრებაზე ავტონომიის წინააღმდეგი იყო, ამბობს, რომ დრო არ არის ვიტტეს წვრილმანი შეცდომები ვუკიჟინოთ, როდესაც საჭიროა მივეშველოთო.

როდიჩევი მშვენიერ სიტყვაში იმ აზრს ატარებს, რომ მთავრობას ორი გზა აქვს მხოლოდ: ან უნდა დაიღუპოს იგი, ან ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. თუ მთავრობა არ დასთანხმდება საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით ხალხის წარმომადგენლების ამორჩევას, მაშინ იგი იქნება დამნაშავე იმ საშინელებაში, რომელიც შედეგად მოჰყვება მთავრობის ჯიუტობას.

საჭიროა მთავრობას შევძახოთ: ,,შეასრულეთ ეს პრინციპი, ან არა, თქვენი საბჭო სრულიად არ იქნება''. თუ მთავრობას სურს, რომ ჩვენ დავუჯეროთ, რომ იგი უანგაროდ მოქმედებს, რომ იგი ცარიელ ფრაზებს არ ისვრის, მაშინ საჭიროა საბჭოისე ამოირჩიეს, როგორც ხალხსა სურს. მანამდე-კი არავითარი ნდობა არ შეიძლება. განა მთავრობას არ შეუძლია შავი რაზმის მოქმედება ჩააქროს? საკმარისი იყო ის გუბერნატორი, რომლის ქალაქშიაც ხოცვა-ჟლეტა მოხდა, სამსახურიდან გამოეგდო, საკმარისი იყო მიეცა იგი სასამართლოში, და სხვაგან ისეთი საშინელებ აღარ მოხდებოდა.

განა ჩვენ შეგვიძლიან ვენდოთ და შველა გავუწიოთ ასეთ მთავრობას? არა, სანამ მთავრობა არ დაგვიმტკიცებს, რომ იგი სამუდამოდ ეთხოვება რეაქციონერულ მსწრაფებას, ჩვენ მას ხელს ვერ გავუწვდით. ერთის სიტყვით, ჩვენ უნდა მივმართოთ მთავრობას და ვუთხრათ: ,,ჩაიდინეთ საქმენი, ნდობის ღირსნი, და შველასაც და დახმარებასაც მიიღებთ!''.

რადგანაც კრება ძლიერ გაგრძელდა, თავჯდომარემ შემდეგის დღისთვის გადასდო იგი. ხვალაც ამ საგანზე ექნებათ კამათი.

ზ. ნ.

შლისელბურგის პატიმარნი

3 ნოემბერს პეტერბურგში ლ. მელშინს რეფერატი წაუკითხავს შლისელბურგის ციხის პატიმრების შესახებ.

1884 წელს 13 აგვისტოს შლისელბურგის ციხე პოლიტიკურ საპყრობილედ გადააკეთეს. ამ საპყრობილესთვის შეადგინეს ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსი; ყოველ ჟანდარმს ჯამაგირი ერთი-ორად მოუმატეს. წელიწადში შლისელბურგის ციხის შენახვა ხაზინას 75,000 მან. უჯდება. შლისელბურგის დაობებულ და ნესტიან კედლებ შორის გამეფებული რეჟიმი სიტყვით აუწერელია. ამ ციხეში დალპნენ, დაიხოცნენ და ჭკუიდან შეშალნენ თვითმპყრობელობის მოსისხლე მტრები „ნაროდნაია ვოლიის" ბურჯები. პატიმრები ერთმანეთისაგან დაშორებულნი იყვნენ, ერთმანეთს ვერ დაუკაკუნებდნენ; აკრძალული იყო სიმღერა, სტვენა, ჩქარი ნაბიჯით სიარული და საზოგადოდ სასტიკად სჯიდნენ ყველას, ვინც კი გაბედავდა და რითიმე გამოხატავდა თავის არსებობას. პირველ წლებში დღისით რკინის ტახტები გარედ გაჰქონდათ, ასე რომ ავადმყოფნი ცივ იატაკზე იწვნენ და იქვე იხოცებოდნენ. მომაკვდავის ნახვა არავის შეეძლო: მარტო იწვა, მარტო იტანჯებოდა და მარტო კვდებოდა. ამა თუ იმ პატიმრის სიკვდილს დანარჩენები იმით იგებდნენ, რომ ჟანდარმები გარდაცვალებულის ოთახს აღებდნენ, დეზებს აჩხარუნებდნენ და, როცა განსვენებული გაჰქონდათ, ხმაურობდნენ. ბევრმა ამ ჯოჯოხეთურ ტანჯვას ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. შეშლილები საავადმყოფოში არ მიჰყავდათ. მათი საზარელი ყვირილი და სიცილ-ხარხარი დანარჩენებს გულს უკლავდა და სტანჯავდა. 1884 წლიდან წრევანდლამდის ამ ციხეში 67 კაცმა იგემა თვითმპყრობელობის მხეცური სისასტიკე. 67 კაციდან ჩამოარჩეს 13: როგაჩევი, შტრომბერგი, ულიანოვი, გენერალოვი, ოსიპანოვი, ანდრიუშკინი, შევირევი, მიშკინი, მინაკოვი, ბალმაშოვი, კოლიაევი, გერშკოვიჩი და ვასილიევი. სამმა კაცმა თვითონ მოიკლა თავი: კლიმენკომ, გრაჩევსკიმ (ნავთი გადაისხა და აუწერელის წვალებით მოკვდა) და სოფიო გინზბურგმა (ლამფის შუშით ძარღვები გადაიჭრა). ამ მაგალითებმა თვითმპყრობელობაზე ცოტა გავლენა იქონია: პატიმრებს სახელოსნოებსა და ბოსტანში მუშაობის ნება მისცეს. პატიმრებს სეირნობაც შეეძლოთ, მაგრამ ორ კაცზე მეტი ერთად ვერ შეიყრებოდნენ. ყველას თავის თანამოსეირნე ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ უნდა გამოეცვალა. ეს უფლებანი არ მისცეს მხოლოდ კარპოვიჩს, რომელიც ისე გამოამწყვდიეს, რომ იმის ნახვა არავის შეეძლო. ამის გამო დანარჩენებმა სეირნობაზე ხელი აიღეს და ამით თავიანთი პროტესტი გამოაცხადეს. გენ. ლოპატინმა $1^1/_2$ წელიწადს გაუძლო თავის სიტყვას, მაგრამ ეს პროტესტი ძვირად დაუჯდა—ძალიან ავად გახდა. 16 კაცი გარდაიცვალ სურავანდისაგან და ჭლექისაგან. ზოგი მათგანი ჭკუაზე შეიშალა. შჩედრინი და კონაშევიჩი ახლაც სულით ავად მყოფთა სახლში არიან. პოლოვანოვმა, მარტინოვმა და იანოვიჩმა მას შემდეგ მოიკლეს თავი, როცა ციხიდან განთავისუფლეს. ყველაფრის აწერა შეუძლებელია. კაცს თმა ყალყზე უდგება, როცა წარმოიდგენს იმ ჯოჯოხეთს, რომელშიაც მებრძოლნი იხრუკებოდნენ. ბალმაშოვი ჯერ ჩამოარჩეს, მერე ახალ კირით სავსე საკირეში ჩააგდეს და ზედ შეშის საწყობი გამართეს. ერთ ოთახში ვიღაც „უცნობი" აწამეს. ვინ იყო ის კაცი, ან რისთვის იყო დაჭერილი არავინ იცის. პლევეს მკვლელთა—საზონოვისა და სიკორსკის ნახვა არავის შეუძლიან. დიდი ტანჯვა გამოიარეს ვერა ფიგნერმა და ლიუდმილა ვოლკენშტეინმა. წელიწადში მხოლოდ ორ წერილის დაწერა შეიძლებოდა, ისიც ისეთის შინაარსისა, რომ ციხის რეჟიმზე ერთი სიტყვის თქმაც არ შეიძლებოდა. ვიტტეს მთავრობამ ჯერაც არ განთავისუფლა 5 პატიმარი—საზონოვი, სიკორსკი, გერშუნი, კარპოვიჩი და მელნიკოვი—და როგორც ეტყობა, არც შემდეგში აპირობს მათ განთავისუფლებას.

დასასრულ მელშინმა სთქვა: მთელმა რუსეთმა ერთხმად უნდა მოითხოვოს შლისელბურგის ციხის დანგრევა; მისი ხსენებაც და საძირკველიც უნდა აღიგავოს ქვეყნის პირიდანაო.

გურიის ამბები.

10 ნოემბერი. დღეს გურიაში სრული სიწყნარე და მყუდროებაა. ხალხი შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმეს. აქა-იქ ქორწილებიც იმართება—თუმცა ისე მხიარული არა, როგორც წინად, მაგრამ გადაკრულებს და „ტვინ ნანჯაყვებს" მაინც შეხვდებით.

მყუდროებას არღვევს თითო-ოროლა ღამის რაინდი—ეს ცხოვრების ნაძირალები, რომელთაც სინდის-ნამუს-პატიოსნებისათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ და ორ-ფეხა ღამურებად გადაქცეულან. არ იქნა და ვერ მოეწყო მათი ალაგმვა. ხალხი დიდის თავგამოდებით შეუდგა ამ შინაურის მტრების—შინაურ ხულიგანების წესის აგებას.

წუხელ, ამ ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ეს გმირები თავს დაეცნენ ნატანებიდან მომავალ ეტლს, გაძარცვეს ყველანი—ერთს თავიც კი გაუტეხეს; ერთი მგზავრთაგანი „დამწვართაგანი" იყო, რომელსაც ბათომში დაკლული ღორი წაეღო გასასყიდად. იმან უთხრა თურმე—„მე მთელი საცხოვრებელი კაზაკებმა დამიწვეს და ჩემს გაძარცვას ნუ იკადრებთ—ბაღნების საკალანდო ღორი გავყიდე და რაცხა ორი კაპეიკი ვილე, ბაღნების საცვლებიზა მინდაო". მაგრამ ვინ დაუჯერა?

თუმცა ღამე იყო, მაგრამ ხალხმა მაშინვე მიიღო ზომები და, როგორც დღეს დილით გადმოგვცეს, წუხელისვე შეიპყრეს ავაზაკები.. ისინი აღმოჩნდნენ სოფ. მელექედურის მცხოვრებნი.

ამ დღეებშივე შეიარაღებული „დელიყანდები" თავს დასცემიან შემოქმედის მონასტერს, დაუშინებიათ მოხუცი ბერები და წაურთმევიათ შვიდი მანათი და ხუთი შაური. ეს ვაჟბატონებიც შეპყრობილნი არიან და მოელიან გასამართლებას.

გული მიკვდება, რომ ასეთი ამბების წერა მიწევს გურიიდან, იმ გურიიდან, რომელმაც დღეს მთელის განათლებულ ქვეყნის ყურადღება მიიპყრო—მისდა შესაწევნად ფულს აგროვებენ და აქ კი გურიის მკვიდრი თავის მეზობელს, დამწვარს, დაჩაგრულს სძარცვავს, პირში სულს ართმევს. ვწუხვარ, მაგრამ დამალვას გამომჟღავნება სჯობია, ხომ იცით, უმახინჯო ოჯახი იშვიათია.

დამწვართა უმეტესობამ უკვე დაიწყო ფაცხების მოდგმა, რომ დროებით თავი შეაფარონ. ნოტიო მიწაზე, ამ ზამთარში ასეთ ფაცხებში ცხოვრებას, რასაკვირველია, ბევრი გადაჰყვება ავადმყოფობის მიზეზით, მაგრამ რა ჰქნან! გურულს არ შეუძლიან ხიზნად მეზობლისას იყოს.

ადგილობრივ დამხმარებელი კომიტეტი ჯერ არ არის მოწყესრიგებული. მხოლოდ 7 ნოემბერს ოზურგელებმა კი აირჩიეს შემოწირულებათა შემკრები კომისია შემდეგი პირებისაგან: ქ.ქ. ნინო ნაკაშიძე, სოფიო თუმანიშვილი, რაისა თოხაძე და კატო მამულაიშვილი; ბ.ბ. ილიკო ნაკაშიძე, ერმილე ნაკაშიძე და გიორგი ქოლოშვილი.

აუცილებლად საჭიროა მსწრაფლ დაარსდეს კომიტეტი, რომელიც შემოწირულებას დაანაწილებს და, ვისაც ესაჭიროება, დროებით დახმარებას აღმოუჩენს.

როგორც გავიგეთ, აქაური სახელ-განთქმული კაზაკთა პოლკი გადაჰყავთ ფოთში (ალბად იმიტომ, რომ ფოთშიც ბევრია ადვილად დასაწვავი ხის შენობა). ამათ ნაცვლად აქ აბანაკებენ ბესარაბიის ბატალიონის სალდათების ერთ ნაწილს.

ადგილობრივმა საქალაქო სკოლის ინსპექტორმა 7 ამ თვისთვის მოიწვია (დაბეჭდილ ბარათებით) მოწაფენი, მაგრამ ჯერ არავინ გამოცხადებულა. ისე კი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, სდგება სასკოლო სამზრუნველოები და ადრე ხანად ხალხი ფიქრობს სკოლებში სწავლის განახლებას, შესაფერ მასწავლებლების კრიზისი თუ არ დაურჩა.

მაზრის უფროსი ლაზარენკო, როგორც ამბობენ, ოზურგეთიდან ჩუმად გაპარულა. წინწყალი, უკან მეწყერი!

ანწლაძე

ჯარების უკმაყოფილება ტფილისში.

I

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გვქონდა მოკლე ცნობა მე-15 ტფილისის პოლკში სათადარიგო ჯარის კაცთა მიერ ჩადენილ უწესოებათა შესახებ. ახლა მოგვყავს გაზეთებიდან დაწვრილებითი ცნობები: 13 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ტფილისის პოლკის მორიგ აფიცერს პატრულმა წარუდგინა ამავე პოლკის ორი ჯარის კაცი, რომლებიც შესულიყვნენ დუქანში ხორცის სასყიდლად და მედუქნესთან ჩხუბი დაეწყოთ. პატრულს თან მოჰყვა ორი გარეშე პირი მოწმე, რომლებმაც უამბეს აფიცერს, რა უწესოებანი მოეხდინათ ამ ჯარის კაცთ. აფიცერმა მოწმეებს ჩვენება ჩამოართვა და გაანთავისუფლა, ხოლო ჯარის კაცთ, რომლებიც, ნათლად ეტყობოდათ, მთვრალები იყვნენ, უბრძანა კაზარმებში წასულიყვნენ. პატარა ხანს უკან ეზოში მოისმა ყვირილი და ლანძღვა-გინება. თავი მოეყარა 500 მეტს ჯარის კაცს და ყველა ჰყვიროდა, ყველა რაღაცას თხოულობდა. მორიგმა და რამდენიმე სხვა აფიცერმა, რომლებიც იმ დროს პოლკის აფიცერთა საკრებულოში იყვნენ, ჯარის კაცთა დასამშვიდებლად ვერაფერი გააწყეს. ბოლოს გამოირკვა, რომ ჯარის კაცნი უკმაყოფილონი იყვნენ მორიგ აფიცრისა, რომელმაც მოწმები გაანთავისუფლა: ვიღაც გარეშე პირებს დაუჯერე, ჩვენ გვამტყუნე, „შტიატებს" ნება აქვთ ჩვენ გვხოცონ და ჩვენ მიერ შეპყრობილი გარეშე კაცი კი გაანთავისუფლეო. მორიგი აფიცერი უმტკიცებდა, ისინი დამნაშავენი არ იყვნენ, მოწმეები იყვნენო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. საქმე გამწვავდა. აფიცერს დაუწყეს უშვერის პირით გინება და, დროზე რომ საკრებულოში არ შესულიყო, საქმე ცუდად გათავდებოდა. ჯარის კაცები მიადგნენ საკრებულოს, შემტვრიეს კარები, შეცვივდნენ საკრებულოში და ასტეხეს ყვირილი: მოგვიყვათ აქ ჩქარა ან პოლკის უფროსი, ან ნაჩესტნიკიო, ზოგი ჰყვიროდა: ძმებო, თოფები აიღეთ ხელშიო. აფიცრები გამოვიდნენ დერეფანში და უთხრეს აჯანყებულებს: ჩვენ უკვე შევატყობინეთ პოლკის უფროსს და, საცაა, მოვაო. ,,ჩვენ კი არ გთხოვთ, მოვითხოვთო''—ჰყვიროდნენ ჯარის კაცნი და ამასთან უშვერის პირით ლანძღავდნენ როგორც პოლკის უფროსს, ისე დანარჩენს აფიცრებს. გავიდა ხუთი წამი, უფროსი არსად იყო. მაშინ სამი ჯარის კაცი ქუდებით შეცვივდნენ საკრებულოს დარბაზში და დაუყვირეს აფიცრებს: ჩქარა პოლკის უფროსი მოიყვანეთ, თორემ ყველას ამოგჟლეტავთო. აფიცრები ყველა მაღლა, კანცელარიაში, ავიდნენ. მაშინ ერთმა ჯარის კაცმა დაიყვირა: ძმებო, აფიცრები გაიქცნენ და დაიმალნენ—პორტ-არტურში ისინი ქურდობდნენ, ჩვენ კი ჩიტებივით გვხოცავდნენ, ახლა კი იმალებიან, დაჰკა მაგათ, ძმებო, ჩვენ ცოლშვილი სიმშილით გვეხოცება სახლში, აქ კი ესენი არ გვიშვებენო". აფიცრები ძირს ჩამოვიდნენ და უთხრეს: აი, აქა ვართ, როდის დავიმალეთო. ერთმა ჯარის კაცმა მიმართა ერთ აფიცერს: რაღ სტყუი (что ты врешь), აკი დაგვპირდი, რომ უფროსი 5 წამის შემდეგ მოვაო? ამ დროს მოვიდა პოლკის უფროსიც, რომელმაც მოინდომა ჯარის კაცების დამშვიდება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ერთმა დაიყვირა: რას გვატყუებს ეგ... ჩვენ „პოტემკინზე" უარეს საქმეს მოვახდენთო! ზოგიერთმა მოინდომა პოლკის უფროსის ხელის შეხება. მაშინ უფროსმა უკან დაიხია, ამოიღო რევოლვერი და სთქვა: „ძმებო, სად არის დისციპლინა, მე სიკვდილისა არ მეშინიან, ჩემთვის ძვირფასია პოლკისა და მუნდირის ღირსება, რას სჩადიხართ, სინიდისი რას გეუბნებათ? თქვენ შეურაცხჰყოფთ პოლკს! ცოცხალი ხელში არ ჩაგივარდებით! მოიგონეთ თქვენი ოჯახები! არავის არ გემუქრებით, მაგრამ შეურაცხყოფას ვერ ავიტან, და თუ ვინმე შეურაცმყოფს, მისთვის მე შვიდი ტყვია მაქვს, ხოლო მერვე ჩემთვის იქნება!'' შემდეგ შევიდა საკრებულოში, გაიხადა პალტო, მოიხადა ქუდი, აიხსნა იარაღი და გამოვიდა ჯარის კაცებთან: ,,ახლა მე უიარაღო ვარ, ვისაუბროთ მშვიდობიანად, მომიყევით თქვენი გაჭირებანი''. ჯარის კაცებმა თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინეს და ბოლოს სრულიად დამშვიდდნენ.

II

გუშინ-წინ, 14 ნოემბერს, **მიტინგი ჰქონდათ ტფილისის საპიორთა ბატალიონის ჯარის კაცებს.** მიტინგის გამართვამდე ჯარის კაცებმა ნებართვა სთხოვეს მორიგ აფიცერს, მაგრამ მან განაცხადა, რომ მე არ შემიძლია ნება დაგრთოთო. შემდეგ სალდათებმა ნებადაურთველად გამართეს მიტინგი, რომელზედაც შემდეგი მოთხოვნილებანი შეიმუშავეს: 1) სამხედრო სამსახურში ჯარის კაცნი მხოლოდ ორ წელიწადს რჩებოდნენ, 2) მიეცეთ ნება საინტენდანტოს რევიზიის მოსახდენად სალდათებისგან კომისიის არჩევისა, 3) უფროსები ჯარის კაცებს ზრდილობიანად ეპყრობოდნენ, 4) თითოეულ ჯარის კაცს თვეში ხუთი მანათი ჯამაგირი დაენიშნოს, 5) გაძევებულ იქმნენ სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც თავის ხულიგანურ მოქმედებით ჯარის კაცებს ღირსებას ჩირქსა სცხებენ, 6) გაუმჯობესებულ იქმნას ბინა, საჭმელი და ტანისამოსი და 7) სამსახურის გათავების შემდეგ, თითოეულ ჯარის კაცს ჯილდოდ 25 მანათი მიეცეს.

III

გორის ნაწილის ახალ ჯარის კაცებმ 8 ნოემბერს გორში კრება გამართეს, რეზოლუცია შეიმუშავეს და მთავრობას შემდეგი **მოთხოვნილებანი წარუდგინეს:** 1) სალდათები უნდა დარჩნენ სამშობლოში და იმ გუბერნიებში, სადაც მიწერილნი არიან, 2) ყოველ სალდათს უნდა დაენიშნოს თვეში 5 მანათი ჯამაგირი, 3) უფროსები ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ თავის ხელ-ქვეითებს და 4) სამსახური უნდა იყვეს ორი წელიწადი. სანამ ამ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ, ფიცს არ მივიღებთ და სამსახურში არ წავალთო—აცხადებენ ჯარის კაცნი.

ამ გვარივე მოთხოვნილებანი წარადგინეს **ნოვობაიაზეთისა და გორის პოლკებმა და არტილერისტებმა.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ხაშური, 14 ნოემბერი. შესდგა მიტინგი, რომელსაც 3000 კაცამდე დაესწრო. ამ მიტინგზე 9 ნოემბერს ჯარის კაცებისაგან თოფის სროლას და ხალხის აწიოკებას შეეხნენ. გადასწყვიტეს ამ სროლის გამომწვევს, ფოსტის უფროსს ნოვიცკის, სამუდამო ბოიკოტი გამოუცხადონ.

ფოთი, 14 ნოემბერი. გუშინ, დილის 4 საათზე, აქ ასტყდა საშინელი თოფის სროლა. მიზეზი იყო ის, რომ ზღვით ერთი იარაღით სავსე ნავი მოიტანეს და ხმელეთზე გადმოტვირთეს, რაც გაიგეს დარაჯებმა და სროლა ასტეხეს. მოტანილი იარაღი მთავრობას ჩაუვარდა ხელში. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. მაშინვე მთელ ქალაქს ირგლივ დარაჯები შემოარტყეს და სახლების ჩხრეკა დაიწყეს. აქა-იქ მოხდა შეტაკება ჯარის კაცებთან. დღეს მთელ ფოთში გაფიცვაა, ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილია.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

დეკანოზ. ან. თოთიბაძისაგან შეკრებული.

ოცი მანათი: დეკ. ა. თოთიბაძე; ათ-ათი მან. დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე, დეკანოზი სოლომონ შოშიაშვილი; ხუთ-ხუთი მან.: მღვ. იასონ ლაბაძე, მღ. კ. ცინცაძე, მღ. ბ. კონტრიძე, მღ. ი. ჩიჯავაძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, არქიმანდრიტი დოსითეოსი, მღ. იროდიონ გურგენიძე; სამ-სამი მან.: მღ. ილარიონ ჯაში, დეკ. გიორგი ასათიანი, მღვ. კარბელაშვილი, მღ. ნ. მაჭარაშვილი, დეკ. გძელიევი, მღ. გ. გამყრელიძე, ორ-ორი მან. მღ.: დ. გარსიაშვილი, დეკანოზი ა. ზუმბულიძე, მღ. სიმონ რცხილაძე, მღ. ი. ჩეკურიშვილი, მღ.

---

*) იხ. იმავ „შინაურ მიმოხილვის" შენიშვნა.

ს. ჯაჯანაძე, მღ. მიხ. მახათაძე, მღ. ქ. ციცქიშვილი, დიაკონი გრ. კონტრიძე, პროტოდიაკონი კ. კარგარეთელი; თითო მან.: მღ. ალ. სვიმონოვი, მღ. ი. აივაზოვი, მღვ. პ. კარბელაშვილი, დიაკონი სამადალოვი, მღვდელ მონაზონი არჩილი, დიაკონი ს. ფხალაძე, მღ. დ. ლაზარევი, მღ. დავით იანქოშვილი, დიაკონ ი. კასატკინი ათი შაური.
სულ 119 მ. 50 კ.

დღევანდლამდე რედაქციაში გვქონდა 1442 მ. და 91 კაპ. ახლა შესდგა—1562 .მ და 41 კაპ.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციას მრავალი საჩივრის განცხადება მისდის სანოვაგის გაძვირებაზე და სთხოვენ, იღონეთ რამეო. ამის გამო **მუშათა ორგანიზაციამ ამოირჩია კომისია** და დაავალა, დაიაროს ფქვილისა და შაქრის მთავარი საწყობები და გამოჰკითხოს, რა ფასებში ჰყიდიან საწყობებიდან სანოვაგეს. ხსენებულმა კომისიამ დაიარა ფქვილისა და შაქრის საწყობები, გამოჰკითხა, როგორ ჰყიდიან და, გააფრთხილა ყველანი: დღემდე რაც იყო—იყო, ხოლო ამის შემდეგ თუ კიდევ მაღალ ფასებში გაგვიყიდნით სანოვაგე, იცოდეთ სასტიკ ღონისძიებას მივმართავთო. საწყობების პატრონებმა პირობა დაუდეს, რომ ამიერიდან ისევ ძველს ფასებში გაჰყიდიან ყოველგვარ სანოვაგეს.

◆ ამას წინად გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ ვიტებსკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა **ჩერვიაკოვმა თავი მოიკლაო** იმის გამო, რომ მთელის რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისაგან ზიზღის გამოცხადების დეპეშები მიიღო ხულიგანების დაქირავებისა და ვიტებსკის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ამოხოცვა-დარბევისთვის. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ეს ხმა ტყუილი გამომდგარა: ჩერვიაკოვს არამც თუ თავი არ მოუკლავს, ძლიერ კარგადაც არის და კვლავინდებურად განაგრძობს თავისს სასახელო „მოღვაწეობას".

◆ როგორც მკითხველებმა იციან, მოსკოვში თავი მოიყარეს სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატებმა კავშირის დასაარსებლად. ახლა, შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს განკარგულებით, ყველა ეს დელეგატები **მესამე მუხლის ძალით სამსახურიდან დაითხოვეს**. ამის გამო დელეგატთა კავშირი დეპეშით ატყობინებს სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებს: „ჩვენ პროტესტი განვუცხადეთ გრაფ ვიტტეს დელეგატების სამსახურიდან დათხოვნისათვის და 12 საათის ვადა მივეცით, თუ ამ დროის განმავლობაში ვიტტემ არ გააუქმა ეს დადგენილება და ჩვენს დელეგატებს სამსახური არ დაუბრუნა, მაშინ 6 საათზე (პეტერბ. დროით) უნდა **დაიწყოს საზოგადო გაფიცვა**".

◆ კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა თავის საგანგებო ბრძანებაში № 309 **სასტიკად აუკრძალა ჯარისკაცებს პოლიტიკურ** კრებებსა, მიტინგებსა და კავშირებში მონაწილეობის მიღება. ბრძანების დამრღვევნი სასტიკად იქმნებიან დასჯილნი. ნამესტნიკი წინადადებას აძლევს ჯარის უფროსებს, ყური უგდონ სალდათებს, რომ მისი ბრძანება არ დაარღვიონ.

◆ ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ჰმართავს საქველმოქმედო წარმოდგენას **დაზარალებულ გურულთა და ქართლელთა სასარგებლოდ**. წარმოადგენენ რამიშვილის პიესას „მეზობლებს". იმედია, ხალხი ბლომად დაესწრება.

◆ კვირას, 13 ნოემბერს დეკანოზი პეტრე კონჩოშვილი ხელ-დასხმულ იქმნა ალავერდის ეპისკოპოსად. ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ: იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი, გორის ეპისკოპოსი ექვთიმე და ადგილობრივი რამდენიმე მღვდელი. წირვაზე მოწვეულ იყო, სხვათა შორის, სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გრიგოლი, მაგრამ სამღვდელოებამ განაცხადა, თუ რექტორი ჩვენთან ერთად წირვაში მონაწილეობას მიიღებს, ჩვენ ყველანი გავდივართო. ეს ამბავი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ ტელეფონით შეატყობინა არქიმანდრიტ გრიგოლს და სთხოვა, წირვაზე არ მოსულიყო. არქიმანდრიტი გრიგოლი წირვაზე აღარ მოსულა.

რადგანაც არქიმანდრიტ გრიგოლს ქართველმა სამღვდელოებამ „პოლიტიკა" შეუტყო, ამბობენ, რექტორობას თავს ანებებსო.

◆ დღეს, 16 ნოემბერს, ვერაზე, **ტფილისის მეარღნეებს მიტინგი აქვთ დანიშნული**. მეარღნეები ამ ბოლო დროს უსახსროდ არიან, რადგან ახალი თამბა არღნის დაკვრას უშლის, და ამიტომ გადასწყვიტეს კავშირის დაარსება. კავშირის დაარსების საქმეში ხელმძღვანელობის გასაწევად მეარღნეებს გადაუწყვეტიათ ერთ-ერთი პროგრესიული პარტია მოიწვიონ,

◆ 14 ნოემბ. **ვერაზე მოხელეთა მიტინგი მოჰხდა**, რომელსაც 200-მდე მოხელე დაესწრო. მიტინგზე იყო ასამდე სალდათი საარტილერიო ბატალიონისა. ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ უფროსებს შეუძლიანთ თუ არა კავშირში მონაწილეობისათვის მოხელეთა დათხოვნა მესამე ტომის მესამე მუხლის ძალით, რომელიც მოხელეებს უკრძალავს ყოველგვარ კავშირში მონაწილეობის მიღებას. გამოითქვა ის აზრი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, ხსენებული მუხლი ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავს. მოხელეებმა ისიც განმარტეს, რომ ფიცი, რომელიც მიღებული გვაქვს, არ გვიშლის კავშირში მონაწილეობის მიღებას, ვინაიდან დიდებული მოძღვარი ქრისტე ამბობს, რომ ფიცი არავის უნდა მისცეთო. ორატორებმა შემდეგ სალდათებს მიმართეს და აუწერეს სალდათის აუტანელი მდგომარეობა. „ძმებო,—დაასრულეს ორატორებმა—ყველა ეს გადაეცით სხვა სალდათებს და ხალხის მხარის დასაჭერად ახლავ მოემზადეთ, რადგან ჩქარა დადგება დიდებული წამი საერთო აჯანყებისაო.

◆ კვირას, 13 ნოემბერს, **კრება ჰქონდათ ტფილისის ფარმაცევტებს**. განსახილველი საგნები იყო: 1)ფარმაცევტთა დამოკიდებულება 17 ოქტომბრის მანიფესტთან, 2) განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს დაზარალებულთა შემწეობა და 3) მცხოვრებთა თავის დამცველ მილიციის დაარსება. პირველ საგნის შესახებ კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი არავითარ თავისუფლებას არ გვაძლევს, რადგან გრაფ ვიტტეს მთავრობა ხალხის დამშვიდების საქმეში ისევ რეპრესიულ ზომებით ხელმძღვანელობს. ამის გამო კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ახლანდელი მთავრობა ხელს უშლის რევოლუციას. ფარმაცევტთა კავშირის აზრით, მხოლოდ რევოლუციონურის საშუალებით შეიძლება დამფუძნებელ კრების განხორციელება, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით". კრებაზე აგრეთვე გადასწყდა ფარმაცევტთა შორის ხელის მოწერით შეიკრიბოს ფული და გადაეცეს იმ პირთ, რომელნიც მოძრაობის დროს ძალიან დაზარალდნენ—გურულთ და ქართლელებს. საგანი თავის დაცვის შესახებ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. შემდეგი კრება ფარმაცევტებისა დაინიშნა დღეისთვის.

◆ **სად. აკსტაფიდან გვწერენ**: კვირას, 13 ნოემბერს, აკსტაფაში გაიმართა სახალხო მიტინგი, რომელსაც 300-მდე კაცი და ქალი დაესწრო, მომეტებულად რკინის გზაზე მოსამსახურენი. მიტინგზე მოწვეული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციის წარმომადგენელი. ილაპარაკეს რუსულად, ქართულად და თათრულად; ორატორები შეეხნენ თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას და ბევრი ილაპარაკეს ახალ მთავრობის ვერაგულ პოლიტიკაზე, რაიცა გამოიხატა პოლონეთში და რუსეთის ათს გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვისა და სამხედრო წესების შემოღებაში. ბევრი ილაპარაკეს აგრეთვე 22 ოქტომბერს ტფილისში მომხდარ სისხლის ღვრაზე, რომლის მეთაურადაც ადგილობრივი გახულიგანებული ადმინისტრაცია იქმნა აღიარებული. ორატორთა აზრით, საჭიროა ხალხი შეიარაღდეს და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით. დასასრულ, მიტინგმა ერთხმად მიიღო ამის შესაფერი რეზოლუცია.

◆ შაბათს, 12 ნოემბერს, სოფ. ჭალაში (გორის მაზრა) **მოჰკლეს ჯაშუშობისათვის** თავ. ილიკო ამილახვარი; მოკლულისთვის ენაც მოუჭრიათ. მკვლელნი მიიმალნენ.

◆ კვირას, 13 ნოემბერს, გორის მოსწავლეებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს, რომ დირექტორი გორის სამასწავლებლო სემინარიისა და ქალთა გიმნაზიისა მეროპიევი **გაძევებულ იქმნას გორიდან**.

◆ შაბათს გორშივე, ნაშუაღამევის პირველ საათზე, ყაზარმებში მოჰკლეს ჯაშუშობისთვის მე-44 დრაგუნთა მინგრელსკის პოლკის ფელდფებელი ანდრია ეროშინი; დიდი ხანია, ჯარისკაცები ეროშინის უკმაყოფილონი იყვნენ. ეჭვით ორი ჯარის-კაცი დაიპატიმრეს.

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ახლო მომავალში **უნდა გააუქმონ ომიანობის დროისა და გაძლიერებულ დაცვის წესები** ქალაქ ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში.

◆ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ სომხურ გაზეთ ,,ნორ-დარ''-ის ასოთ-ამწყობები და მბეჭდავები გაიფიცნენ, რადგანაც რედაქტორ-გამომცემელი სპანდარიანი წინა გაფიცვის დღეების ხელფასს არ აძლევსო. **გუშინწინ, 14 ნოემბერს, რედაქტორმა სპანდარიანმა წერილი მისწერა მუშებს**, სადაც, სხვათა შორის, ატყობინებს: თუ ახლანდელ გაცდენილ დღეების ფასს არ გადამახდევინებთ, წინანდელ გაფიცვისას სავსებით მოგცემთო. ჯერ-ჯერობით მუშები არა სთანხმდებიან ამ წინადადებაზე.

◆ ბათუმის ქალაქის გამგეობას ხელის მოწერა გაუმართავს დახოცილ, გადამწვარ და **დაზარალებულ გურულთა ოჯახობის სასარგებლოდ**. ჯერ-ჯერობით 1,500 მანათამდე შეგროვილა. ახლო მომავალში ბათუმის საბჭოს, როგორც შევიტყეთ, კრება ექნება იმის შესახებ, რომ ბათუმის ქალაქის თვითმართველობამაც გადასდოს გურულების სასარგებლოდ ფული.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის **სოციალ-დემოკრატ მოწაფეთა ბიურო** ამით აუწყებს თავის თანამოაზრეებს, რომ ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, 4 საათზე, ნაძალადევში, სამრევლო სასწავლებლის შენობაში, **დანიშნულია კრება** სხვადასხვა კითხვების გამოსარკვევად.

◆ როგორც მკითხველებმა იციან ბათუმის მხარეს ყველა სადგურებში ჯარი იდგა საყარაულოდ. დღეიდან კი საყარაულო ჯარს ასტოვებენ ფოთსა, სამტრედიასა, ლანჩხუთსა, სუფსასა და ბათუმში.

◆ გუშინწინ, 14 ნოემბერს, **ფეხსაცმელების სახელოსნოებში ხელოსნები და შეგირდები გაიფიცნენ**. გაფიცულებმა პატრონებს წარუდგინეს მოთხოვნილებანი, რომელიც ჯამაგირების მომატებასა და საზოგადოდ მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხება.

◆ **ტფილისის გოროდოვოებს 150 კაცი ემატებათ**. გოროდოვოებად მთავრობა ნიშნავს სათადარიგო ჯარის კაცებს და თვეში 15 მანათს უნიშნავს ხაზინიდან.

◆ **ცხინვალიდან** გვწერენ: 11 ნოემბერს, **დგვრისის მინდორზე, გაიმართა სახალხო მიტინგი,** რომელსაც დაესწრო მთელი ლიახვის ხეობის გლეხ-კაცობა. დროშებითა და სიმღერების გუგუნით სხვადასხვა სოფლებიდან ხალხმა 12 საათამდე თავი მოიყარა. მიტინგზე წარმოითქვა მრავალი სიტყვები. აღნუსხულ იყო ყველა ის საშინელი ამბები, რომელიც უკანასკნელ ხანს რუსეთში მოჰხდა. დასასრულ მიღებულ იქმნა რეზოლუცია: 1) რუსეთისა და კავკასიის ქალაქ-სოფლებიდან გაყვანილ იქმნას ჯარი და კაზაკები, 2) გამოცხადდეს სრული ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეებისა, 3) პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი ყველა ის პირნი, რომელნიც ხალხის საშინელ ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობას იღებდნენ, და 4) დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედრო წესები პოლონეთში.

◆ 14 ნოემბერს **დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები გაიფიცნენ**. ეს მუშები, რიცხვით 30 კაცამდე, დღიურად მუშაობენ და თვიურად მიღებას თხოულობენ.

◆ **სად. ალექსანდროპოლი.** 13 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, მე-183 ვერსზე, მოჰკლეს საყარაულო ჯარის უფროსი უნტერ-ოფიცერი პედჩენკო. მკვლელი შეიპყრეს.

◆ გუშინ წინ, 14 ნოემბერს, თამამშევის ქარვასლის და სასახლის ქუჩის ვაჭრებს ჯგუფ-ჯგუფად ჩამოუარეს ტფილისის ჯიბგირებმა და ქონებრივი დახმარება სთხოვეს. ამბობდნენ, ჩვენ ჯიბგირები და ქურდები ვართ; ერთობის ხალხი ნებას აღარ გვაძლევს, რომ ვიქურდოთ და ვიჯიბგიროთ, ცხოვრების სხვა სახსარი არ გაგვაჩნია და დაგვეხმარეთო. ბევრმა ვაჭარმა თავისი წვლილი არ დაიშურა.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო კერძო ქართულ გიმნაზიის რამდენიმე მოწაფე უბრალო მუშებად დამდგარა ადელხანოვის საფეიქრო ფაბრიკაში და მუშებს შეძლებისდაგვარად უხსნიდნენ თურმე დღევანდელ გარემოებას. ფაბრიკის ერთ ნოქარს დაუბეზღებია მეფაბრიკესთან, ვითომ ქურდობისთვის, და დაუთხოვნინებია. გუშინ-წინ ამის გამო მუშებს საამხანაგო სამართალი ჰქონდათ ხსენებულ ნოქრის გასასამართლებლად. სასამართლოს დადგენილებით, მუშებმა ნოქარი მუხის წკეპლებით დასაჯეს. ამასთანავე, ნოქარი გამოტყდა, რომ ამხანაგების დათხოვნაში წილი სტოროჟსაც უდევსო, მაგრამ სტოროჟს აპატიეს იმ პირობით, რომ შემდეგში აღარ განიმეორებს. ფაბრიკის პატრონმა ამ ამბის შემდეგ დაითხოვა 30-მდე მუშა, ვითომ იმ მიზეზით, რომ სამუშაო არ არისო. ამის გამო ყველა მუშები—300-მდე კაცი,—გაფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის მომატება და დათხოვნილ ამხანაგების უკანვე მიღება.

◆ ტფილისის ქალაქის თვით-მართველობამ მიჰმართა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, ფოთში და ბაქოში ტფილისისათვის ფქვილითა და შაქრით სავსე ვაგონებია და, რა მიზეზია, რომ არ იგზავნებაო. ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, დაუყოვნებლივ გამოიგზავნონ ტფილისში ეს ვაგონები. ამ დღეებში რამდენიმე ვაგონი უკვე ჩამოვიდა.

◆ 13 ნოემბერს განჯაში რკინის გზის მოსამსახურეთა საერთო მიტინგი გაიმართა. მიტინგმა დაადგინა, და რუსეთის ყველა რკინის გზებზე შემდეგი დეპეშა დაგზავნა: „ამხანაგებო, ჩვენ, სად. განჯის მოსამსახურენი, გმობთ პრივისლიანის რკინის გზის მუშათა და სხვა ჯგუფების პროვოკატორ დეპეშებს, და გულმხურვალედ თანაუგრძნობთ იმ მოსამსახურეთ, ვინც პოლონეთის განთავისუფლებისათვის იბრძვის. სალამი მებრძოლთ".

◆ გუშინ, 15 ნოემბერს, თამამშევის ქარვასლის პასსაჟში გაფიცულ შეგირდების მიტინგი მოხდა. მიტინგს 200-ზე მეტი შეგირდი დაესწრო, რომელთა წლოვანობა 7-დან 12 წლამდე ადიოდა. ილაპარაკა ერთმა-შეგირდმა, რომელმაც ასე თუ ისე კარგად დაახასიათა თავისი ეკონომიური მდგომარეობა. აქვე იყვნენ მათი დედებიც. დასასრულ მიტინგმა შემდეგი მოთხოვნილება შეიმუშავა:

ფელეტონი

წერილი ესტონელებზე

ესტები ამ ჟამად ბალტიის ზღვასთან გუბერნია ნახევარში ცხოვრობენ,—მათ უკავიათ ესტლანდიის გუბერნია და ლიფლანდიის გუბერნიის ჩრდილო ნაწილი.

დანამდვილებით არ იციან, როდის დასახლდნენ ამ ადგილებში ესტლანდელები. რომისა და საბერძნეთის ძველ თხზულებების და ჩრდილოელ ხალხთა გადმოცემების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰომიროსის დროსაც ეს ხალხი აქვე უნდა ყოფილიყო ბინადრად.

ესტებში ნამდვილი ისტორიული ხანა მეთოთხმეტე საუკუნეში იწყება.

ყოველ შემთხვევაში, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ესტები უნგრო-ფინების ტომს ეკუთვნიან და შუა ან ჩრდილო აზიიდან გამოვიდნენ აქეთკენ. ხალხთა საერთო გადასახლების დროს ესენი ევროპიდან გადმოვიდნენ და აქ სამ ნაწილად გაიყვნენ. მათი სამხრეთის ნაწილი—უნგრელები ან მადიარები—ევროპის იმ მხარეში გაჩერდნენ, სადაც ახლაც არიან დასახლებულნი. ჩრდილოეთის ნაწილი—ფინნები დასახლდნენ, ფინლანდიაში. შუა ნაწილი კი, რომელსაც ესტების გარდა ეკუთვნიან კიდევ ლივები და კურები—ბალტიის ზღვის ნაპირებისკენ დასახლდნენ ფინების ყურეს სამხრეთით. ზღვის პირს გარდა მათ დაიჭირეს უახლოვესი კუნძულებიც—ეზელი, დაგო და სხვები.

სხვადასხვა მატიანეთა ცნობით, ესტები მხნე და გაბედული მეზღვაურები ყოფილან,—„ვიკინგების" სახელით სკანდინავიაში და დასავლეთ ევროპაში მცხოვრებნი მათდა საშიშ მოსარიდებელ მეზობლებად იცნობდნენ; მათ იცნობდნენ აგრეთვე ლიტველები და ლატიშებიც.

მათ კულტურისა და განათლების შესახებ ჩვენ სრული ცნობები არა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ისინი ჩრდილოეთ ევროპაში მცხოვრებ სხვა ერებისაგან დიდათ არ განსხვავდებოდნენ. მათ საკუთარი ანბანი ჰქონდათ, საკუთარი ფული, ხალხს ჰყავდა უფროსი გამგენი, რომელთაც სხვები მეფეებს ეძახდნენ. მათში შემოსული იყო ერთცოლიანობა. ხალხს ციური ღმერთები სწამდა.

არ შეიძლება ერთ დამახასიათებელ მხარეს ყურადღება არ მივაქციოთ: ესტებში იყო მრავალი ზეპირგადმოცემა, სიმღერები და სხვ., რომელიც ზეპირად გადადიოდა ერთ თაობიდან მეორეზე და რომელმაც მოაღწია ჩვენ დრომდის. ამ სიმღერების ერთი ნაწილი წარსულ საუკუნეში შეგროვილ იქმნა, სადაც აწერილია „კალევი პეგ", ე. ი. კალევას ნაძე. ეს საქმე შეასრულა დოქტორმა კრეუცვალდმა. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სახალხო სიმღერებს აგროვებდნენ პასტორის ჰურტის მეთაურობით.

ესტების ისტორიული ცხოვრება რომ დაიწყო, მაშინ მოეღო ბოლო მათს პოლიტიკურ თავისუფლებას.

მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ესტებს შემთხვევით გაეცნენ ბრემენის ვაჭრები. ზღვაში ფურთქვნის დროს ვაჭრების გემი მდინარე დვინასკენ გადმოაგდო ქარმა; აქ ხალხი მათ ჯერ მტრულად დაუხვდა, მაგრამ, რაკი დარწმუნდა, რომ ისინი სამტროდ მოსულნი არ არიან, დაუახლოვდა, მათთან ვაჭრობაც დაიწყო და ნება მისცა, ხელმეორედ დაბრუნებულიყვნენ სავაჭროდ.

რამოდენიმე ხანს ორივე მხარეს სასიამოვნოდ მიდიოდა ვაჭრული დამოკიდებულება, მაგრამ მალე ვაჭრების აღმოჩენისა და ჩრდილოელ ხალხის სიმდიდრის ამბავი გაიგეს ეპისკოპოზებმა და მათ შემდეგ თვით პაპმაც. გადასწყვიტეს ვაჭრებთან ერთად გაეგზავნათ ბერი მეინჰარდი. იგი ესტების მხარეში 1186 წ. მივიდა და მას აქეთ იწყება ის თვალთმაქცობა, რომელსაც ახლაც ადგება ყოველი „კულტურტრეგერი".

აძლევენ ქრისტიანობას და სამაგიეროდ ართმევენ თავისუფლებას, ჰპირდებიან ციურ სიკეთეს და ართმევენ საქაო ბედნიერებას, სიტყვით ჰქადაგებენ სიყვარულს, საქმით კი გარყვნილებასა და ძალმომრეობას არ ერიდებიან.

მეინჰარდი და მისი მიმდევრები ამ პოლიტიკის ზედმიწევნით მცოდნენი გამოდგნენ და თავიანთ მიზანს მიაღწიეს ისევე, როგორც ყველა კულტურტრეგერი აღწევს.

მანამ მეინჰარდს ჯერ არ აეგო თავისთვის დვინას ნაპირზე მაგარი ციხე, იგი ზრდილობიანად იქცეოდა და მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდა: მაგრამ, გათავდა თუ არა ციხე, ადგილობრივმა ხალხმა მაშინვე გაიგო, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის მონათვლის საქმეს. ამიტომ მათ უარი განაცხადეს ქრისტიანობაზე, გარ შემოერტყნენ მეინჰარდის ციხეს და უნდოდათ ეს ბერი დაერჩოთ წყალში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ციხის შენობა საკმარისად მაგარია,—ადგილობრივმა ხალხმა მას ვერაფერი დააკლო.

მართალია, ციხის დანგრევის პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ ბერებმა იგრძნეს, რომ ხალხი აღარ დასცხრება და სხვა საშუალებას მიმართავს, რომ ამიტომ თავისიანების დაუხმარებლად ისინი ვერ მოახერხებენ ომის მოყვარულ ლივების და ესტების ქვეყანაში დარჩენას.

ამიტომ მათ გადაწყვიტეს ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებლების მომხრობა და პაპთან შველის სათხოვნელად კაცის გაგზავნა.

მართლაც ასე მოიქცნენ. სხვადასხვა მოტყუილებითა და ხრიკებით მათ მოახერხეს ზოგიერთ გულუბრყვილო მკვიდრის გადაბირება, რომელიც შემდეგ ჩამოთესლებულ უცხოელების ნამდვილ დამცველებად გამოდგნენ. ახლანდელის თავად ლივენის გვარი ამ გადაბირებულ ლივების პირდაპირი შთამომავალი არის. მაგრამ ბევრად უფრო საგრძნობელი პაპის დახმარება გამოდგა. ლიფლანდია ღვთისმშობლის ქვეყნად გამოაცხადეს და ყველას, ვინც ხელში იარაღს აიღებდა „ამ წმიდა ქვეყნის" დასამორჩილებლად, საიქიოს სასუფეველს ჰპირდებოდა სამღვდელოება. იქითკენ წასასვლელად ყველას, ამის გარდა, აქეზებდა კიდევ იმის იმედი, რომ იქ შეეძლებათ ადგილობრივ ხალხის გაძარცვა, იქაურების მოკვლა და გადაბუგვა. ეს ორი იმედი,—საქაო და საიქიო,—ერთად მოქმედებდა და ხალხს ახალისებდა საომრად.

ადვილი გასაგებია, რომ ყველა მშიერ-მწყურვალი ადგა ულუფას გულისთვის, გარეგნად კი ისე მოჰქონდათ თავი, თითქო თავი უნდა შეეწირათ ლიფლანდიაში წასვლით სამოთხის მისაღებად. როგორც წინეთ ჯვაროსანთა ომის დროს პალესტინაში, ისე ახლა ლიფლანდიაში გაეშურნენ „ბედის მაძიებელნი".

დაიწყო ლივების და ესტების თავგანწირული ბრძოლა თავისუფლების შესარჩენად. მკვიდრი ხალხი გულადი იყო, თავგამოდებული და მებრძოლი,—სამაგიეროდ, მისი მოწინააღმდეგე უკეთესად იყო შეიარაღებული, უფრო გამოცდილი იყო და მრავალრიცხოვანიც.

წინდაწინვე ცხადი იყო ბრძოლის შედეგი, სისხლის ღვრა თითქმის ას წელიწადს არ შეწყვეტილა და გერმანელებმა თავი გამარჯვებულად იცნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილობრივი ხალხი თითქმის სრულიად ამოწყდა ბრძოლაში. დარჩენილები მონებად და ყმებად იქცნენ, გამარჯვებული უცხოელები მათ შინაურ პირუტყვებივით ექცეოდნენ.

ხალხმა რამდენიმეჯერ სცადა თავისი განთავისუფლება, მაგრამ ამაოდ,—მაგარი იყო ეს ბორკილი, რომელიც მას ესხა. უცხოელებმა მათ ქვეყანაში მრავლად ააგეს ციხე-სიმაგრეები. ამ ციხეებში გამაგრებული იყვნენ მღვდლები და თავადები, რომელნიც სდარაჯობდნენ ხალხს და მზად იყვნენ გაეყიდათ ეს მხარე—ლიფლანდია, კურლანდია და ესტლანდია—მეზობლებისთვის. მყიდველებად მოდიოდნენ ხან რუსები, ხან პოლონელები, ხან კიდევ დანიელები და შვედები.

ზოგიერთი ასეთი ციხე დღესაც არ დანგრეულა და მათ დანახვაზე ხალხს აგონდება ის საშინელი დრო, როდესაც ამ ციხეების პატრონები ხალხის ბატონებად გამოდიოდნენ. ესტლანდიის იმ დროინდელ ისტორიაზე ლაპარაკი მეტია. მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდე სწყდება ამ ხალხის პოლიტიკური ცხოვრება. მის ისტორიის მაგივრად იწყება სხვის დამპყრობლების, ძალმომრეობის და საშინელ გაბატონების ამბავი. იმ დროის შესახებ შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ბატონებმა ხალხს ის მცირეოდენი მიწებიც წაართვეს, რომელიც მას წინანდელ ბრძოლის დროს შერჩა.

მხოლოდ შვედების ბატონობის დროს სცადეს რამოდენიმეჯერ მოეწესრიგებინათ ბატონების დამოკიდებულება გლეხებთან და საზოგადოდ შვედების მმართველობამ აქაურ ხალხში კარგი სახელი მოიხვეჭა და დასტოვა. ამათ ბატონობის დროს ხალხში ცოტაოდენი განათლება გავრცელდა და უნდოდათ კიდეც ბატონ-ყმობის მოსპობა.

მაგრამ გერმანელ მემამულეებს ეჯავრათ შვედების ასეთი ქცევა და ამიტომ მათ ძალიან იამათ ჩრდილოეთის ომის დაწყება, რომელიც პეტრე პირველმა დაუწყო შვეციას,—და ისინი ამ ომში ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ რუსებს და, როდესაც შვედელთა სულ დამარცხების შემდეგ ბალტიის ნაპირის გუბერნიები რუსების ხელში გადავიდა, ბატონყმობამ კიდევ უარესი და შემაძრწუნებელი სახე მიიღო,—მემამულეთა თვითნებობას და სიმხეცეს ახლა აღარ ჰქონდა საზღვარი. არ არის, მგონია, სხვა რომელიმე მხარე, სადაც ბატონ ყმობას ისეთივე სახე მიეღოს, სადაც ყმებს ისეთისავე სისასტიკით ექცეოდნენ, როგორც ამ გუბერნიებში. ამის მიზეზი ის არის, რომ გერმანელთა დესპოტურ და მკაცრ ხასიათს გარდა, მათ უკანტროლობის გარდა და იმის გარდა, რომ ისინი გულმოსულნი იყვნენ მკვიდრთა განთავისუფლებელ მისწრაფებათა გამო, აქ კიდევ ეროვნულ განხეთქილებასაც ჰქონდა უთუოდ ადგილი. ყმა და მისი ბატონი ერთმანეთისთვის უცხონი იყვნენ არა მხოლოდ კლასიურის მხრივ, არამედ ენით და ზნე-ჩვეულებითაც. ბატონყმობა ასეთის სახით მხოლოდ ევროპის ახალშენებში თუ იყო სადმე.

ამნაირ მოპყრობის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ ლივების ოდესღაც ძლიერი და მრავალ-რიცხოვანი ხალხი თითქმის სრულიად მოსპობილი შეიქმნა. ამ ჟამად ლივების მხოლოდ 2000 ან 3000 სული ღა დარჩა. ისინი მეთევზეობას აწარმოებენ და ცხოვრობენ კურლანდიაში, ზღვის პირად.

ხელმწიფე ალექსანდრე პირველის მეფობის დრომდის არ მოსპობილა იქ საშინელი ძალმომრეობა. საფრანგეთის რევოლუციისაგან წამოყენებული ახალი მიმართულება და ალექსანდრე პირველის აზრები, მის მეფობის პირველ ხანაში, ძალიან აფიქრიანებდნენ გერმანელ მემამულეებს. მაგრამ მათ მალე სამოქმედო ენაც გაიკვლიეს: მიხვდნენ, რომ მთავრობისათვის უნდა დაესწროთ და ამიტომ გადასწყვიტეს **ბატონ-ყმობა თვითონვე მოესპოთ**. ამ გადაწყვეტილებამ მათ თავის განწირვის და კაცთ-მოყვარეობის სახელი მოუხვეჭა და ამასთან ერთად შემდეგშიაც ამ მხარეში ბატონობის შერჩენა გაუადვილა. ყმების განთავისუფლება იმაში გამოიხატა, რომ **გლეხები მემამულეთა საკუთრებად აღარ უნდა ყოფილიყვნენ**,—სამაგიეროდ, მიწა სავსებით მემამულეთა საკუთრებად დარჩა. ამას გარდა, გლეხობა მიწასთან დაბმული შეიქმნა.

ამნაირად, ბალტიის მხრის გერმანელთა კაცთმოყვარეობა, რომლითაც ისინი მუდამ თავს იქებენ, ჩვენ დროსაც ნამდვილად მეტად ეგოისტური რამ იყო. 1816 წ. ესტლანდიაში და 1819 წ. ლიფლანდიაში მათ მხოლოდ გაძარცვეს თავიანთი მონები და სამაგიეროდ იქ ნამდვილი ბატონყმობა შემოიღეს.

თქმა არ უნდა იმას, რომ ნიკოლოზ პირველის ხელმწიფობის დროს მემამულეთა თვითნებობამ და სიმხეცემ კიდევ იმატა და მკვიდრ ხალხის მდგომარეობა ნამდვილ მონების მდგომარეობაზე უკეთესი არ იყო.

ამ აუტანელ მდგომარეობის პირდაპირი შედეგი იყო ალექსანდრე მეორეს მეფობაში დაწყებული ძლიერი სახალხო მოძრაობა ამ გუბერნიებში,—მოძრაობა, რომელსაც საშინელის სისასტიკით მოუღეს ბოლო. მხოლოდ სამოციან წლებში გლეხობა თანდათან იძენს თავისუფლებას, მაგრამ სასამართლო, თვითმართველობა და განათლება დღესაც სავსებით გერმანელთა ხელშია დარჩენილი და გერმანელებიც ამ უპირატესობით სარგებლობდნენ, რომ ხალხი გადაგვარების გზაზე დამდგარიყო, რომ ადგილობრივ მკვიდრთ დაეკარგათ ეროვნული თავისებურობა და გერმანელების ეროვნული სახე მიეღოთ.

ამ მისწრაფებას ბოლო მოუღო ალექსანდრე მესამესაგან შემოღებულმა რეფორმებმა: სასამართლო და სასწავლებელი ჩამოერთვა გერმანელებს და ჩინოვნიკებს ჩაბარდა და ამ ჩინოვნიკობამ ახლა ხალხის გარუსება მოინდომა.

ამავე დროს დაიწყო ხალხის გამოფხიზლება. დაარსდა ესტონელების სახალხო გაზეთი, დაიწყეს ამ ენაზე წიგნების ბეჭდვა.

აი, მოკლედ ის ჩარჩო, რომელშიაც უნდა მოხდეს ესტონელ ხალხის მომავალი განვითარება.

ყველასთვის აუხსნელადაც ცხადია, რომ დიდი განხეთქილება არსებობს გერმანელ მემამულეებში, რომელნიც აქ 1% შეადგენენ, და ესტონელებში.

მტრულის თვალით უყურებენ ესტონელები აგრეთვე რუსის ჩინოვნიკობასა, რომელიც ამ ხალხის გადაგვარებას ცდილობს და მის არამკითხე ბატონადაა მოვლენილი.

გელლატ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ შეგირდებს, რომელნიც მანათზე მეტს იღებენ ჯამაგირად 30 კაპ. მოემატოს; ხოლო ვინც მანეთზე ნაკლებს იღებს,—50 კაპ.

2. სადილის ფული ყოველ დღიურად 15—20 კაპ.

3. სადილისათვის ერთი საათი.

4. მოსპობილ იქმნას ჭურჭლის რეცხვა სავაჭროებში.

5. მოისპოს კვირაუქმით ხაზეინებთან მუშაობა: როგორც სავაჭროში, ისე ოჯახებში.

6. დათხოვნილი ამხანაგების მიღება 15 ოქტომბრიდან.

7. ზრდილობიანი მოპყრობა ხაზეინებისა და ნოქრების მხრით.

8. უჯამაგირო შეგირდებს მიეცეს ჯამაგირად. 1 მან.

9. გაფიცული ამხანაგების მიღება და გაფიცულ დროის ფულის მიცემა.

◆ 13 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, სად. ნავთლუღის ლიანდაგზე მდგარ ვაგონს შეიარაღებული თათრები დაეცნენ. გასტეხეს ვაგონი და ერთი ყუთი კალოში გაიტანეს, მაგრამ ღამის ყარაულებმა და სტრაჟნიკებმა ისევ დაატოვებინეს და დასჭრეს ერთი თათარი. დაჭრილი თათარი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **სად. სკრა.** 1 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მე-215, ვერსზე ორი შეიარაღებული კაცი დაეცა ლიანდაგის დარაჯის სადგომს და ტყვიით მოჰკლეს დარაჯის ცოლი.

◆ გუშინ, 15 ნოემბერს, ტფილისის პოლიცმეისტერმა დაიბარა მეექვსე უბნის მეძავ ქალთა სადგურების პატრონები და შენობის პატრონი სუმბათაშვილი. პოლიცმეისტერმა გამოუცხადა, რომ ორის თვის განმავლობაში სადგურები სხვაგან გადაიტანონ, გადატანამდე კი მუსიკა აღარ დაუკრან შიგ და მაგარი სასმელებიც არ გაყიდონ.

◆ ამ დღეებში ქართლის ამბებში გვქონდა დაბეჭდილი: „მოჰკლეს ზუბიკო აბდუშელიშვილის მოყვარე აზნაური ნათიშვილიო". ვატყობინებთ მკითხველებს, რომ მოკლული აზნაური ნათიშვილი ზუბიკო აბდუშელიშვილის მოყვარე არა ყოფილა.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება

ორშაბათს, 14 ნოემბერს, ქალაქის მოურავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, ხმოსანთა კრება მოხდა. ხმოსანი არ. ს. ბაბოვი წინადადებას აძლევს კრებას, გაკიცხვა გამოეცხადოს ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ"-ს, რომელსაც ხმოს. მიქელაძის განცხადება, სახელმწიფო სათათბიროში ტფილისიდან ორის წარმომადგენლის ამორჩევის შესახებ, ტენდენციურად გადაუმახინჯებია. სხვა ხმოსნებმაც ტენდენციურ სიცრუედ იცნეს „კავკაზ"-ში მოთავსებული შენიშვნა, მაგრამ გადასწყვიტეს ამ საქმის გამო არაფერი დადგენილება არ მიიღონ, რადგან ეს ოფიციალური ორგანო იმის ღირსი არ არის, რომ მისს ცნობებს ყურადღება მიექცესო. თავმჯდომარე თავ. ჩერქეზიშვილი უბრუნდება ხმ. მიქელაძის განცხადებას სახელმწიფო სათათბიროში ორის წარმომადგენლის ამორჩევის შესახებ და ითხოვს ამ საკითხის განხილვა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ საერობო და საქალაქო მოღვაწეთა მესამე კრება 17 ოქტომბრის მანიფესტსა და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ თავის გარკვეულ შეხედულებას შეადგენდეს. ხმ. ბაბოვი ითხოვს, რომ ტფილისის საბჭომ მოსკოვის კრებას არ მოუცადოს და ახლავ გამოსთქვას კერძოდ თავისი შეხედულება სახელმწიფო სათათბიროზე და იმაზე, თუ რად არის საჭირო ორის წარმომადგენლის არჩევა და არა მეტისა ან ნაკლებისა.

არა-ხმოსანი (სოციალ-დემოკრატი) ურჩევს საბჭოს, რომ წარმომადგენელნი არ დანიშნოს საბჭომ იმ სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც პროგრესიულმა ელემენტებმა რუსეთის მასხარად აგდებად იცნეს. ვიდრე წარმომადგენლებს აირჩევდნენ, ხმოსნებმა უნდა გამოარკვიონ თავიანთი შეხედულება სათათბიროზე. მეორე არა-ხმოსანიც (სოციალ-დემოკრატი) ამბობს, რომ უნდა გამოირკვეს დამოკიდებულება მანიფესტთან. ახლანდელ მთავრობის პოლიტიკა ცნობილია. იკრებს ძალას დაწყებულ რევოლუციის ჩასაქრობად. საქალაქო და საერობო მოღვაწეთა კრება მხარს უჭერს ვიტტეს მთავრობას, მაგრამ შედეგი აუცილებელია: ჩქარა დაიწყება საშინელი ომი — პროლეტარიატსა და მთავრობის შორის, და თქვენ, ხმოსნები ვალდებულნი ხართ, სთქვათ, ვის მხარეს იჭერთ, მთავრობისას, თუ ხალხისას. კრებამ დაადგინა: ხმ. მიქელაძის განცხადება, სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ განუხილველი დასტოვოს და გაიმეოროს წინანდელი თავისი დადგენილება იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით.

კრებამ დაავალა გამგეობას საზოგადოების და სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი მოიწვიოს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მცხოვრებთა დამცველ მილიციის დაარსებას.

ამავე დღეს კრებამ მოისმინა ხმ. სვეჩნიკოვის განცხადება გურულთა სასარგებლოდ ქალაქის თანხიდან ფულის გადადების შესახებ და დაადგინა: 15 ნოემბრისვე 5,000 მანათი გაეგზავნოთ გურულთ, გუბერნატორის მიერ ოქმის დაუმტკიცებლად.

რუსეთი

ოდესელ ჟურნალისტთა კავშირმა **ხულიგანების მიტინგი** გამართა. მიტინგს დაესწრო ათასამდე ხულიგანი, რომელნიც ოდესაში ებრაელების აკლებაში მონაწილეობას იღებდნენ. ხალხი ჟურნალისტებს აფრთხილებდა, ხულიგანები გაგწიწკნიანო, მაგრამ მიტინგი მშვენივრად დასრულდა. დამსწრეთ ძალიან აინტერესებდა სოციალიზმი, კონსტიტუცია და წითელი დროშა. ორატორებმა ყველაფერი დაწვრილებით აუხსნეს. გუშინდელი მძარცველნი იმ დღესვე რევოლუციონერების ბანაკში გადავიდნენ და ნანობენ თავიანთ შეცდომას.

◆ გლეხთა კავშირის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში მოხდა, ბელორუსებმა და მალორუსებმა თავიან ქვეყნებისთვის **ავტონომია** მოითხოვეს. კრებამ ეს მოთხოვნა სამართლიანად აღიარა და დაავალა, გაავრცელოს გლეხთა შორის ის აზრი, რომ ავტონომია განაპირა ქვეყნებისთვის საჭირო და სამართლიანია და რუსეთიდან განცალკევებას არ ნიშნავს.

◆ პეტერბურგში ხმა დადის, ვითომ მთავრობამ გადასწყვიტა ხალხს **საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება** მისცეს. ჯერი მიდგა პირდაპირ საარჩევნო სისტემაზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, მთავრობა ამ მუხლსაც მიიღებსო.

◆ უკანასკნელ არეულობის დროს ვლადივოსტოკში **დაიჭრა და მოკლულ იქმნა 182** კაცი. მათ შორის 7 აფიცერი, 35 სალდათი.

◆ **რეაქცია.** „ტაიმს"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, ვითომ მთავრობას დიქტატურის გეგმა შეედგინოს. დიქტატორებად ნიშნავენ დიდ მთავარ ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს, გრაფ იგნატიევსა და ტრეპოვს. „ლოკ. ანც."-ს ატყობინებენ: „სასახლის პარტია ზინოვიევისა და შირინსკი შახმატოვის მეთაურობით გაცხარებით მუშაობს ვიტტეს წინააღმდეგ. ეს პარტია უკანასკნელ დროს ძალიან გაძლიერდა; ახალ თავისუფლებას დიდი ხიფათი მოელის".

პეტერბურგში და მთელ რუსეთშიაც მართლა რაღაც მზადდება. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამერიკისა და ინგლისის ელჩები პეტერბურგში მცხოვრებ ინგლისელებსა და ამერიკელებს საზღვარგარედ წასვლას ურჩევენ. რუსეთის ყველა ქალაქიდან აყარებული ხალხი მიდის საზღვარ გარედ. რჩებიან მხოლოდ ღარიბ-ღატაკნი, რომელთაც, როგორც ყოველთვის, რევოლუცია თავის მხრებზე უნდა გაიტანონ მეორე ნაპირზე.

◆ ვერა ფიგნერის ნათესავებმა მთავრობას ნებართვა სთხოვეს, რომ ფიგნერს საზღვარ გარედ წასვლა შეეძლოს, მაგრამ უარი მიიღეს. ვერა ფიგნერი 22 წელიწადს იყო შლისელბურგის ციხეში და ამჟამად მოხუცი და ავადმყოფი დედაკაცია, მაგრამ მთავრობა იმდენად დაშინებულია, რომ რევოლუციონერთა ლანდისაც კი ეშინიან.

◆ **პასუხი ვიტტეს.** ალბად ყველას ეხსომება ვიტტეს დეპეშა მუშებისადმი, რომელიც შემდეგის სიტყვებით იწყებოდა: „ძმებო, მუშებო!" ვიტტე მუშებს დაწყნარებას სთხოვდა და ზრუნვას ჰპირდებოდა. ეს დეპეშა მუშათა დეპუტატების საბჭოში წაიკითხეს და გაარჩიეს. საბჭომ ამის შესახებ შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: „მუშათა დეპუტატების საბჭომ მოისმინა ვიტტეს დეპეშა „ძმა-მუშებთან" და ძალიან გაუკვირდა მოურიდებლობა მეფის მოადგილისა, რომელიც პეტერბურგელ მუშებს „ძმებს" უწოდებს. პროლეტარები ვიტტეს ნათესავები არ არიან.

საბჭო აცხადებს:

1) ვიტტე გვირჩევს ჩვენი ცოლშვილი შევიბრალოთ. მუშათა დეპუტატების საბჭო თავის მხრივ ურჩევს მუშებს დასთვალონ, რამდენი ქვრივი და ობოლი მიემატა მუშათა კლასს მას შემდეგ, რაც ვიტტემ სახელმწიფოს მეთაურობა იკისრა.

2) ვიტტე აღნიშნავს, რომ ხელმწიფე მამაშვილურად ზრუნავს მუშებისთვის. მუშათა დეპუტატების საბჭო თავის მხრივ მუშებს 9 იანვარს მოაგონებს.

3) ვიტტე თხოულობს დროს და პირობას იძლევა, რომ ის მუშებისთვის ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია. მუშათა დეპუტატების საბჭომ მხოლოდ ის იცის, რომ ვიტტემ დრო მონახა და მთელი პოლონეთი სამხედრო ჯალათებს ჩაუგდო ხელში; მუშათა დეპუტატების საბჭო დარწმუნებულია, რომ რევოლუციონურ პროლეტარიატის დასარჩობად ვიტტე ყოველნაირ ხერხს იხმარებს.

4) ვიტტე აცხადებს, რომ მას ჩვენთვის კეთილი სურს. მუშათა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ მუშათა კლასს მეფის მოადგილესაგან კეთილი არა სურს. ის მხოლოდ საყოველთაო კენჭის ყრით არჩეულ საერო წარმომადგენლობას თხოულობს.

კორესპონდენცია

ლანჩხუთი. 9 ნოემბერს, საღამოს გამოსულ მატარებელში, რკინის გზის სადგურზე მეორე კლასის ვაგონში, როდესაც მეორე ზარი მისცეს, ბათუმიდან მომავალს ბათუმის პოლიცმეისტერის თანაშემწეს, ცნობილ სკვარცოვს და მის მფარველს ქართველ მაჰმადიანს სულეიმახას თავს დაესხა ორი უმაწვილი კაცი. სულეიმახს ჯერ მშვენიერი ბერდანის თოფი წაართვეს, მერმე რევოლვერი პატრონებით სავსე „ფალასკა" შემოხსნეს. შემდეგ შევიდნენ მეორე განყოფილებაში თვით სკვარცოვთან და სამჯერ რევოლვერი დაახალეს. სკვარცოვი დასჭრეს ხელში და გულში და გაუდგნენ გზას. სადაც ეს ამბავი მოხდა, იმ ვაგონში არავის შეშინებია რადგან იმ უმაწვილებს სხვა მგზავრები წინდაწინ გაუფრთხილებიათ, ხოლო ამ ამბით თავზარდაცემული სკვარცოვის ძმა აფიცერი, ძალზე შეზარხოშებული გამოვარდა ვაგონიდან და მორთო ყვირილი და ღრიანცელი: კარტველებო, ძმებო, მეც კარტველი კაცი, რატომ ძმა მომიკლიტო და სხვა. მაგრამ როცა ხიშტიანი სალდათები მოვიდნენ, მაშინ კი იცვალა კილო და მიმართა სალდათებს: ребята гдѣ вы? въ офицера русской арміи стрѣляютъ, брата моего убилиო და უსისინებდა სალდათებს, რომ მათ უდანაშაულო ხალხისთვის ესროლათ, მაგრამ სალდათები მათდა საქებურად იმდენად შეგნებულნი აღმოჩნდნენ, რომ არ აასრულეს აფიცრის ბრძანება. ამით უარესათ გაცეცხლებული აფიცერი ისეთი უწმაწური სიტყვებით დასძახოდა სალდათებსაცა და ხალხსაც, რომ კაცს ყურებზე ხელი უნდა დაეფარებინა.

პოლიცმეისტერის თანაშემწე სკვარცოვს ჭრილობა შეუხვიეს და მატარებელიც დაიძრა. სალდათების დანახვამ და აფიცრის განზრახვამ მგზავრები შეაშინა და რამდენიმე მათგანი ვაგონის იატაკზე და სკამზე ერთხმოდა.

დაჭრილი სკვარცოვი თავის [illegible] მფარველ სულეიმანითურთ, ოთხი სალდათის თანხლებით რიონის სადგურზე დარჩა, საიდანაც ქუთაისს წაიყვანეს.

ხაშური. აქ რომ ჩამოვეწყეთ უარესი საზარელი ამბავი დაგვხვდა: საღამოს ექვსი საათიდან სალდათებს სროლა აუტეხიათ ხალხისათვის სწორედ იმ ადგილს, სადაც ბაზარი და მაღაზიებია. სროლა ორ საათ-ნახევარს გაგრძელებულა. რისთვის და რათა ჯერ გამოურკვეველია. არც ის იციან თუ რამდენია დახოცილი და დაჭრილი, ვინაიდან შიშისაგან თავზარ დაცემული ხალხი თავის ბინებში ჩაკეტილა.

მგზავრი.

—

ქ. გორი. (15—26 ოქტომბერი). 15 ოქტომბერს რკინის გზის მოძრაობა შესწყდა და იმის შემდეგ გორი მთლად მკვდარს დაემსგავსა. ორი-სამი დღის შემდეგ კანტი-კუნტად მოვიდა ხმები, რომ ხალხს მიენიჭა თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, გაფიცვებისა, ბეჭდვისა, კავშირებისა, ხელ უხლებლობა პიროვნებისა და ბინისა და სხვ. მაგრამ ხალხს ეს არა სჯეროდა, იგი არ მოელოდა ამას. 19 ოქტომბერს რამდენიმე კერძო დეპეშა მოვიდა, რომლებითაც თავისს ნაცნობ-ნათესავთ ულოცავდნენ თავისუფლებას. ამ კერძო დეპეშებმა მთელი გორი შემოიარეს. ბოლოს გავრცელდა ხმა, რომ 21 ოქტომბერს, ხელმწიფის ტახტზე ასვლის დღესასწაულს, გორის გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი ამის შესახებ საკრებულო ტაძარში ხალხისა და ჯარის თანადასწრებით უმაღლეს მანიფესტს წაიკითხავსო. ამის გამო ამ დღეს ეკლესია და მისი გალავანი სავსებით სავსე იყო ხალხით. ყველას აინტერესებდა ეს დიდი ამბავი, ყველა რაღაც დიდს სიხარულს მოელოდა, მაგრამ... იმედი გაუცრუვდათ. ადიუტანტმა მხოლოდ ჯარს მიულოცა ხელმწიფის ტახტზე ასვლა და წავიდა სახლში. ხალხი თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მით უმეტეს, რომ აქ ხმა მოვიდა, პოლიტიკურ დამნაშავეთ ანთავისუფლებენო, ხოლო აქ კი 21 და 22 ოქტომბერსაც დაიჭირეს რამდენიმე კაცი და ახლო-მახლო სოფლებიდგანაც ჩამოიყვანეს 20-მდე გლეხი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე. ამის გამო აქ 21 და 22 ოქტომბერს მოხდა გაფიცვა.

კვირას, 23 ოქტომბერს, ცუდი ამინდი იდგა: წვიმდა და მთლად გორის ქუჩებში ყელამდის იყო ტალახი. ამის გამო ამ დღეს ეკლესიებში, როცა მღვდლებმა წირვის შემდეგ წაიკითხეს მანიფესტი, ხალხი ნაკლებად დაესწრო. საკრებულო ტაძრის გალავანში მაინც მოიყარა თავი სამასამდე ახალგაზრდამ: აქ იყვნენ უფრო მოსწავლე ახალგაზრდობა, ყველა „ვაშას" ძახილით მიეგება მანიფესტს. მათი სიხარული იმითი უფრო გაორკეცდა, რომ მოიტანეს დეპეშა აქედგან რუსეთში გაგზავნილებისა მათი განთავისუფლების შესახებ. სთხოვეს მღვდელს, ნება მიეცა მათთვის ზარის დარეკვისა, რომ ხალხი ამითი შეეგროვებინათ, მაგრამ მან უარი უთხრა, აკრძალული მაქვსო. მაინც ამ ახალგაზრდობამ თავისი არ დაიშალა, ერთმა მათგანმა წარმოსთქვა სიტყვა და „გაუმარჯოს თავისუფლებას" ძახილთან ერთად აფრიალდნენ წითელი დროშები და გაუძღვნენ მათ წინ და მუსიკითა და სიმღერით მთელი გორი შემოიარეს. მათი რიცხვი ბოლოს 1500 კაცამდე ავიდა. მანიფესტაციამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუ არ გავიხსენებთ იმას, რომ ჯერ ერთხელ დრაგუნს უნდა ესროლა, რის გამოც შეშინებული ხალხი დაიფანტა, თუმცა დრაგუნი, როგორც იყო, დაიჭირეს და დაამშვიდეს (წითელ ზონარებს თვალები აეჭრელებინა მისთვის). მეორედ, აქაური გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტის სახლს რომ მიატანეს, ვიღაცამ დაიძახა, „არიქა, თავს უშველეთ, ისვრიანო", რის გამოც ხალხი გაიქცა, მემუზიკეებმა (შეგირდები იყვნენ სამოქალაქო სასწავლებლისა და სამასწავლებლო სემინარიისა) ინსტრუმენტები გადაყარეს, რის გამოც იგი სულ დაიმტვრა. მის ზარალს 600 მან. ანგარიშობენ. როგორც იყო, კვლავ შეგროვდა ხალხი, მაგრამ ახლა გზაში კაზაკების აფიცერმა შეაჩერა და მოსთხოვა დროშები: ნაბრძანები მაქვს, დროშები წაგართვათ, თუ არ მომცემთ, კაზაკებს ვუბრძანებ, გესროლონო. ამის გამო ხალხი იძულებული შეიქმნა უდროშოდ [illegible]. ბოლოს ყველა ეს იმითი დაგვირგვინდა, რომ ამავე დღეს დააპატიმრეს ორი კაცი, როგორც პოლიტიკური „დამნაშავე".

მეორე დღეს, 24 ოქტომბერს, ხალხს უნდოდა კრების გამართვა, მაგრამ კაზაკებმა გაჰფანტეს. ბოქაულს რომ ჰკითხეს ამის მიზეზი, იმან უპასუხა, თუ გინდათ, ქალაქ გარედ გამართეთ, ხოლო აქ კი არ შეიძლებაო. შემდეგ ხალხმა გადასწყვიტა და ქალაქის მოურავთან ერთად 26 ოქტომბერს გაგზავნა აქაურ გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტს დეპუტაცია, რომელიც სთხოვდა, ნება დაერთო ხალხისთვის კრების გამართვისა. ადიუტანტმა ნება არ მისცა და უთხრა, როცა კრება გინდათ, სამი დღის წინად უნდა შემატყობინოთო, უნდა შემატყობინოთ აგრეთვე, ვინა მართავს, ვინ ილაპარაკებს, მისი გვარი, სახელი და საცხოვრებელი ბინაო. ამგვარად გორში კრებების თავისუფლება ფაქტიურად უარყოფილია.

გ. ნამორაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

12 ნოემბერი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, სამსახურიდან განთავისუფლდეს ციმბირის სამხედრო ოლქის სათადარიგო ჯარის კაცნი (государственнаго ополченія).

ოლქის სასამართლოებს ნება ეძლევათ, პროკურორების წინადადებით, დაუვალონ ხოლმე სასამართლოს წევრებს წინასწარი გამოძიებანი.

გაზეთების ცნობებით, 13 ნოემბერს მოულოდნელად განთავისუფლდეს სამსახურიდან მე-14, 18 და სხვა ფლოტების მატროსები, რომლებიც ბინად პეტერბურგში იყვნენ.

დათხოვნილ იქმნენ 1898, 1899 და 1900 წლების მატროსები, ისე რომ, ზოგიერთმა მათგანმა იმსახურა, 7 წლის მაგივრად, 5 და 6 წელიწადი. სამშობლოში წასასვლელი გზის ფული ყველამ მიიღო. დათხოვნილია სულ 500 მატროსი.

13 ნოემბერს თითქმის ყველა ვაგზლებზე შეამჩნევდით მრავალ მუშას, რომლებიც სახსრო მატარებლებით სოფლებში ბრუნდებიან, რადგანაც ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან სამუდამოდ დათხოვნილ იქმნენ.

კიევი, 14. ტროიცკის მონასტერმა გამოსცა მოწოდება ებრაელთა დარბევის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 14. ებრაელთა საკითხის შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „17 ოქტომბრის შემდეგ მომხდარ დარბევების დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ ებრაელები, ზოგიერთ ადგილებში ებრაელნი იხოცებოდნენ ასობით, ათასობით. დარბევისაგან დაზარალდა 80 მეტი დაბა და ქალაქი, სადაც ებრაელნი სცხოვრობენ. ეს მოვლენა აიხსნება მთავრობის წაქეზებით, ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ მონაწილეობის მიღებითაც, რადგანაც ადმინისტრაციაცა და მცხოვრებნიც ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ თამამად, დაუსჯელად შეუძლიათ შეეხონ, როგორც ებრაელის პიროვნებას, ისე მისს ქონებას. ეს კი იქიდან წარმოსდგება, რომ ებრაელებისთვის განსაკუთრებული კანონები არსებობს. მათ შეზღუდული აქვთ უფლებანი, არ შეუძლიათ თავისუფლად ერთ ადგილიდან მეორეზე გადავიდნენ, თავის სურვილისამებრ ხელობა აირჩიონ, სწავლა-განათლება მიიღონ და სხვა. შემდეგში ამგვარ უბედურებების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ახლავე ზომების მიღება. კრებამ პრინციპიალურად უკვე აღიარა, რომ რუსეთის მოქალაქეთ, ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თანასწორი უფლებანი უნდა მიენიჭოთ. ამ პრინციპის განხორციელება ებრაელთა მიმართ უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. კრება საჭიროდ სცნობს, რომ ებრაელნი ახლავე უნდა გაუთანასწორდნენ დანარჩენ მოქალაქეებთან, უნდა გაუქმდეს განსაკუთრებული კანონები და წესები, და მთავრობა უნდა დაეხმაროს დარბევებისაგან დაზარალებულ ებრაელთ".

სევასტოპოლი, 14. მატარებლები არ დადის. მცხოვრებნი ცხენებით მიდიან სიმფეროპოლში. სახელმწიფო დაწესებულებებს კაზაკები იცავენ. ბულვარზე არტილერია სდგას. დღევანდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

მოსკოვი, 14. ხალხის განათლებისა და ადგილობრივ ენების შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „რადგანაც 17 დეკემბრის მანიფესტში აღიარებულია სიტყვის თავისუფლების პრინციპი, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა მხოლოდ მაშინ მოაქვს კარგი ნაყოფი, როდესაც სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებს, რაც ნათლად დაგვანახვა უცხო ქვეყნების მაგალითმა, და რადგანაც კრებას უკვე აქვს დადგენილება, რომ რუსეთში მცხოვრებ ერებს თანასწორი უფლება მიეცეთ, კრება საჭიროდ სცნობს, ახლავე, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევამდე, შემოღებულ იქმნას ადგილობრივი ენები—ლიტვური, ლატიშური, ესტონური, და მალოროსიული ადგილობრივ სკოლებში სასწავლებლად; გაუქმებულ იქმნას ცირკულიარები და განკარგულებანი, რომელიც შეეხება ადგილობრივ ენებს სასწავლებლებში".

ვარშავა, 14. პროფესორმა ბაზინერმა ვიტტეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ნამდვილი კეთილდღეობა რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნებისა, როგორც, მაგ., პოლონეთისა, თხოულობს განაპირა ქვეყნების სეპარატიულ ავტონომიას კი არა, არამედ რუსეთთან ძმურ სიყვარულით შეერთებას, ერთი-ერთმანეთის პატივისცემით ყველა ხალხის კერძო თვისებათა და 17 ოქტომბრის მანიფესტში აღიარებულ უფლებათა დაცვით".

ჩელიაბინსკი, 14. ქალაქის საბჭომ ვიტტეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ჩელიაბინის ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა, გაცნობოთ თქვენ, რომ საბჭო თავის მოვალეობად სთვლის დაეხმაროს მთავრობას და ყოველის ღონისძიებით ეცადოს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებას.

პოლტავა, 14. დაიწყო აგრარული მოძრაობა.

კიევი, 14. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ღამე ხულიგანები დარბევასა და ინტელიგენციის გაჟლეტას აპირობდნენ. ღამე პოდოლში მოინდომეს მაღაზიების დარბევა, მაგრამ ხულიგანები პოლიციელებმა გაჰფანტეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ,-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ.; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერისკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

საჩხერიდან გამოდის:

შორაპნისკენ: სამგზავრო, 1) დილის 8 ს. 52 წ. 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისკენ: სამგზავრო: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) დილის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

განცხადებანი

ვეტცელის თეატრი
პარასკევს, 18 ნოემბერს
დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ
სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქმნება
პარიზის ღარიბ-ღატაკნი
პიესა 5 მოქმედებად, დენთერისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, საყვარელიძე, დავიდოვი, ჩერქეზიშვილი და ფეიქაროვი; ბ-ნნი: ბალიშვილი, მატარაძე, სალაყაია, ჯიბლაძე, მჭედლიშვილი, გელიკურაშვილი, ხუციშვილი.
დასაწყისი საღამოს რვა საათზე.
მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე კავსაძის ხორო.
ბილეთების ფასი 2 მ. 20 კ. დან 50 კაპ.-მდე.
გამგენი: ნინო კვანხიძე და მიხეილ ანანიაშვილი.

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიის ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.
რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ., მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".
რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასა.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ საქმისა
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლებში
ბაღის პირდაპირ, № 5.
ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(20—9)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.